ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

16 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
დინოზავრები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი




სამშაბათი, 16 ივლისი, 2013 №166 (6167) ფასი: 30 თეთრი

# დაინიშნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური

გვ.3



„ჯარისკაცის კვებას ვეპყრობით ისე, როგორც ჩვენი შვილის კვებას“ გვ.6

## ირაკლი ალასანია: „ჯარს ვერავინ დაავალებს, საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი გუნდის წევრს მისცეს ხმა“

## რუსუდან შარაძე: „მამაჩემის მკვლელობა მეგის ქარდავას ორგანიზებულია“

გვ.3



## ეკლესიის ავტოკეფალია ცხინვალმაც მოითხოვა გვ.4

## კახა კუკავა: „პროკურატურა ცუდად მუშაობს“

გვ.2

როგორ პასუხობს „თავისუფალი საქართველო“ ბურჭულაძის უარს





გვ.4

## დავით უსუფაშვილი: „პარლამენტი ხმაურიანი უნდა იყოს“



## სააკაშვილმა წულუკიანს მთავარი პროკურორის მოხსნა მოსთხოვა

გვ.8

## ფარული ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება ძალიან ჭიანურდება

გვ.7





## ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის ყველაფერს გააკეთებს“

გვ.2

## სასულიერო პირების სასამართლო პროცესი 23 ივლისისთვის გადაიდო

გვ.7

## ინოვაციური სერვისი და საოცნებო პრიზები „ბილაინის“ აბონენტებისთვის

გვ.7

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** „დემოკრატიული მოძრაობა“ ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებს უნდობლობას უცხადებს

**7** საპრეზიდენტო კანდიდატთა სიას ორი ადამიანი მოაკლდა

**4** პოლიციამ განზრახ მკვლელობისთვის უზბეკეთისა და საქართველოს მოქალაქეები დააკავა

**11** სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციაზე მუშაობა უცხოელ ექსპერტებთან ერთად გრძელდება

# კახა კუკავა: „პროკურატურა ცუდად მუშაობს“

## როგორ პასუხობს „თავისუფალი საქართველო“ ბურჭულაძის უარს

ნონა ცაბაძე

რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, თანდათან უფრო მატულობს პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი. სია გრძელია, მაგრამ ბევრ მათგანს საზოგადოება არასერიოზულად აღიქვამს. საზოგადოების დიდი ნაწილი საკმაოდ დიდხანს ელოდა პაატა ბურჭულაძის პასუხს, აპირებდა თუ არა ის კენჭისყრას საპრეზიდენტო არჩევნებში. როგორც ცნობილია, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მას პრეზიდენტობა შესთავაზა და ეს ინიციატივა „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ და „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ გაახმიანეს. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბურჭულაძე აუცილებლად დათანხმდებოდა ამ შეთავაზებას. ისიც კარგად ახსოვს ყველას, რომ ივანიშვილმა ეს ინიციატივა დაიწუნა და პაატა ბურჭულაძე პირდაპირ პრესკონფერენციაზე ღიად გააკრიტიკა, მოგვიანებით ღია წერილითაც მიმართა მას. ამ ყველაფრის მიუხედავად, კუკავა და ბაღათურია იმედს არ კარგავდა, რომ ბურჭულაძის გადაწყვეტილება აუცილებლად დადებითი იქნებოდა, ანუ ის დათანხმდებოდა კენჭი ეყარა არჩევნებში. ბურჭულაძე კი დიდხანს დუმდა...



ბურჭულაძის მისი დუმილი ბევრმა, როგორც თანხმობა, ისე მიიღო და სოციალურ ქსელებში უამრავ სტატუსებს და კომენტარებს შეხვდებოდით ამ თემასთან დაკავშირებით, ბევრი აკრიტიკებდა მას, ბევრიც კი აქებდა და ფიქრობდა, რომ ის კარგი პრეზიდენტი იქნებოდა.

პაატა ბურჭულაძემ დუმილი 15 ივლისს დაარღვია და ამ თემას საკმაოდ ვრცელი განცხადებით გამოეხმაურა. მან ყველას დიდი მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის, ნდობისთვის, მაგრამ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა. იგი ამ ეტაპზე მისი პოლიტიკაში ჩარევის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„ბოლო დღეებში ჩემს ოფისში არ წყდება ზარები, გვიკავშირდებიან ჩვენი თანამემამულეები და მედიის წარმომადგენლები. გადავწყვიტე გამოვეხმაურო ჩვენს ერთგულ ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ინტერესს. მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ წლების მანძილზე ვიღებდი შემოთავაზებებს ჩემი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი უარს და ჩემი ეს პოზიცია არც არასოდეს მინანია. ბოლო დროს ეს შემოთავაზებები ძალიან გააქტიურდა, მასში ჩაერთო ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ასევე მომმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლება. გულწრფელად მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ამ პერიოდში პირადად გვიკავშირდებოდა თუ წერილებს გვწერდა. ულრმესი მადლობა გამოხატული ნდობისა და პატივისცემისთვის, მათ შორის ბატონ ჯონდი ბაღათურიასა და კახა კუკავას, რომლებმაც გააჟღერეს საზოგადოების ეს მოსაზრება.

ვფიქრობ, რომ დღეს ჩემი პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობა არ დგას და იმ საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც ვეწევი, ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩვენს ხალხს და ქვეყანას. მე ყოველთვის ვიდექი და ვიდგები ჩემი ერის სამსახურში და თუ ჩვენ ოდესმე ყველანი ერთად მივიჩნევთ, რომ ჩვენს ქვეყანას სხვა სფეროში მეტად სჭირდება ჩემი ყოფნა და გამოცდილება, გპირდებით, რომ მზად ვიქნები, ეს ნაბიჯი გადავდგა“, — ნათქვამია პაატა ბურჭულაძის განცხადებაში.

ბოროტი ხმები იმაზეც საუბრობენ, რომ ბურჭულაძე მზად იყო დათანხმებოდა ამ შემოთავაზებას, მაგრამ პრემიერის განცხადებების გამო გადაიფიქრაო. თუმცა ეს რამდენად შეეფერება რეალობას, ვერ მოგახსენებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მეტად ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა აქტიურობდნენ, ისინი დარწმუნებულებიც კი იყვნენ დადებით პასუხში და ეჭვი არ ეპარებოდათ პაატა ბურჭულაძის განცხადებაში.

„ახალი თაობა“ კომენტარისათვის კახა კუკავას დაუკავშირდა და ამ საკითხთან ერთად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეც ესაუბრა:

***— ბატონო კახა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პაატა ბურჭულაძემ უარი განაცხადა აღნიშნულ შემოთავაზებაზე, რომ მას პრეზიდენტის თანამდებობაზე ეყარა კენჭი, თუმცა თქვენ დარწმუნებული ბრძანდებოდით, რომ დაგთანხმდებოდათ... როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— როგორი შეიძლება რომ იყოს? თუ დააყენებდა კანდიდატურას, კარგი იქნებოდა, რადგან მან გადაწყვიტა, რომ არ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, აქედან გამომდინარე, ეს თემა დახურულია და აღარც მსჯელობას ექვემდებარება და ვერც რაიმე სახის კომენტარს ვერ გავაკეთებ. საკითხი ამოწურულია.

***— რამდენად გულდასაწყვეტია ეს თქვენთვის?***

— არა უშავს... პოლიტიკაა ეს, ინფორმაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რომ გითხრათ, ამის გამო ისტორია უკუღმა დაიწყებს სვლას, ასე არ არის.

***— ხომ არ დაიწყებთ სხვა კანდიდატურაზე ფიქრს?***

— ჩვენ, „თავისუფალმა საქართველომ“ ვთქვით, რომ ამ არჩევნებში საკუთარი კანდიდატი არ გვეყოლება, ეს არ არის ჩვენთვის აქტიური რეჟიმი, „თავისუფალი საქართველო“ არ არის მზად იმისათვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა. თუ იქნებოდა ბურჭულაძის, ვასაძის ან სხვათა კანდიდატურები, საბოლოოდ 7 სექტემბერს მთავრდება რეგისტრაციის ვადა, ჩვენ ამ კანდიდატებისგან გავაკეთებთ საბოლოო არჩევანს.

***— ბურჯანაძის გარშემო გაერთიანებას გამორიცხავთ?***

— გამორიცხვით არაფერს არ გამოვრიცხავთ, თუმცა ამჟამად არაფერი წინაპირობა საამისოდ არ არსებობს. დღეს ვართ იმ რეჟიმში, რომ ველოდებით გაირკვეს კანდიდატთა საბოლოო სია. ჩვენ ასევე ვთქვით ისიც, რომ მხარს დავუჭერდით თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ერთიანი კანდიდატი იქნებოდა წამოყენებული. ამ საკითხთან დაკავშირებითაც ჯერჯერობით გაურკვევლობაა და ჩვენ ამ პროცესის პასიური მონაწილეები ვართ.

***— ზოგადად წარმოდგენილ კანდიდატებს როგორ აფასებთ?***

— მე ვფიქრობ, რომ არასაპარლამენტო კანდიდატების მთავარი შეცდომა ის არის, რომ ისინი ცდილობენ ამ არჩევნების გამოყენებას საკუთარი პარტიის რეკლამისათვის დ არა იმისთვის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია დაფიქსირდეს ამ ქვეყანაში, როგორც პოლიტიკური ფაქტორი. ისინი არ ცდილობენ ხმების გაერთიანებას და კანდიდატების მთელი ძალებისა და რესურსების გაერთიანებას, რაც მე ვფიქრობ, რომ არის ძალიან დიდი შეცდომა. დღეს არასაპარლამენტო ოპოზიცია, მთლიანობაში აღებული, ნამდვილად წარმოადგენს ქვეყანაში მნიშვნელოვან ძალას, მაგრამ ცალკე აღებული თითეული პარტია თუ კანდიდატი, მე ვფიქრობ, რომ არ წარმოადგენს კონკურენტს არა თუ „ქართული ოცნებისთვის“, არამედ ნაციონალური მოძრაობისთვისაც კი.

***— რატომ ვერ მოხერხდა ერთ კანდიდატზე შეჯერება? საუბრობდნენ, რომ ნინო ბურჯანაძე ძლიერი კონკურენტი იქნებოდა ოცნების კანდიდატისა, რატომ არ მოხდა ასე?***

— ძალიან ბევრ კანდიდატზე იყო საუბარი, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც საქართველოში არის ჩვენი ქართული ტრადიცია, თვითონ ამ პროცესის მონაწილეები ცდილობენ, რომ მაქსიმალურად თავი აარიდონ გაერთიანებას. ეს თავკერძობა დამახასიათებელია, ასე ვთქვათ, ქართული რეალობისათვის და მე ამაში ერთ რომელიმე კანდიდატს მარტო ვერ დავადანაშაულებ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ არავინ არ გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებას, მაგალითად, არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის პრაიმერის ჩატარების შესახებ.

***— თუმცა ვხედავთ, ნაციონალები როგორ ეშხში არიან შესულები და აქტიურად ატარებენ პრაიმერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში...***

— ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ ეს არის ისედაც ერთი პარტია და ისედაც ყველამ იცის, რომ კანდიდატად ბაქრაძეს აყენებენ. არასაპარლამენტო ოპოზიციის შემთხვევაში ამას სერიოზულად რეალური შედეგი ექნებოდა. ანუ ის, რომ ხუთი, ოთხი, შვიდი, ექვსი და ასეთი პროცენტები შეიკრიბებოდა და ჯამში ეს უკვე იქნებოდა ის პროცენტი, რომელიც იძლეოდა გარანტირებულ მეორე ადგილის, ხოლო პოლიტიკური დაშვების შემთხვევაში, პირველი ადგილის შანსსაც კი.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, მივა საქმე მეორე ტურამდე?***

— დღევანდელი მოცემულობის მიხედვით მეორე ტურის ალბათობა ნაკლები არის, მაგრამ თუკი არასაპარლამენტო ოპოზიციას ეყოლებოდა ერთიანი და ძლიერი კანდიდატი, მე ვფიქრობ, რომ ამისი ალბათობა არის ძალიან დიდი. მარგველაშვილის რეიტინგი არ არის დღეს 50%, თუმცა მას მაინც აქვს შანსი პირველ ტურში მოიგოს, გამომდინარე იქიდან, რომ თუ პასიურობა იქნა ძალიან დაბალი, რაც რეალურად ასე ჩანს, მაშინ იკვეთება ის, რომ ადმინისტრაციული რესურსი, პლუს „ქართული ოცნების“ მიერ მოყვანილი მათი მომხრეები, ამომრჩეველთა 50%-ს შეადგენენ. თორემ რეალურად მარგველაშვილის რეიტინგი დღეს სადღაც 30-დან 40%-მდე მერყეობს. თუმცა ეს არჩევნებზე მას გამარჯვების შანსს აძლევს. ეს ყოველთვის ასე ხდებოდა ხოლმე. 2008 წლის არჩევნებზე სააკაშვილმა წააგო თბილისში და 2010 წლის არჩევნებზე მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე რაოდენობის ხმები აიღო. ეს იმიტომ, რომ 2008-ში იყო მაღალი აქტივობა და 2010-ში იყო დაბალი. დაბალი აქტივობის შემთხვევაში, ხელისუფლებას ყოველთვის აქვს მეტი შანსი და ერთადერთი, რამაც ახლა შეიძლება ამომრჩეველს აქტივობისკენ უბიძგოს, ეს არის არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ შეტანილი ის მუხტი, რომელსაც ერთიანი კანდიდატი ეწოდება.

***— ერთიანი კანდიდატი ალბათ ჯერ კიდევ არ არის გვიან, ხომ?***

— არ არის გვიან, ჯერ კიდევ შეიძლება სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ჯობს ამ გადაწყვეტილებების მიღება დროულად მოხდეს, რათა დაიგეგმოს საარჩევნო კამპანია სწორად და ამ მოკლე დროში, რაც შეიძლება ბევრი რამ მოესწროს. საპრეზიდენტო არჩევნები თავისი არსით არის, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო დატვირთული არჩევნები, იმიტომ, რომ ერთი კანდიდატია, რომელიც მინიმუმ ყველა საარჩევნო ოლქში უნდა ჩავიდეს და თქვენ თვითონ გადათვალეთ, ყოველდღე რომ რაიონებში იაროს კანდიდატმა, უკვე იმდენი დღეც აღარ რჩება, რამდენიც საარჩევნო ოლქია.

***— ბატონო კახა, რაც შეეხება ძალოვან უწყებებს და იქ მიმდინარე პროცესებს, ვხედავთ, რომ ძალიან ხშირად ხდებიან კრიტიკის ობიექტები, როგორც შსს მინისტრი, ისე გენერალური პროკურორი კბილაშვილი ამ ბოლო დღეებში კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, თქვენი დამოკიდებულება როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ჩვენთან საქართველოში, ისე, როგორც ბევრმა სხვა მოვლენამ, მთავარი პროკურორის კრიტიკამაც მიიღო ერთგვარად მახინჯი ხასიათი, რომ რაღაცა პერსონიფიცირებული განწყობები შეიქმნა, რომ აი, ვიღაცას მოსწონს კბილაშვილი, იმიტომ, რომ რესპუბლიკელები მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს კბილაშვილი იმიტომ, რომ სხვა მინისტრი მოსწონს და აი ასეთ კონტექსტში განიხილება. ამიტომაც მე ასე გიპასუხებდით, მე არჩილ კბილაშვილის შეფასებას არ გავაკეთებ, მოდით გავაკეთოთ მთავარი პროკურორის საქმიანობის შეფასება. საქართველოში ასეთი ნონსენსია, ერთ-ერთ გამოკითხვაში ვნახე, ხალხს ეკითხებიან — სამართლიანობა აღდგა? — არ აღდგა? კმაყოფილი ხართ იმით, რასაც მთავარი პროკურორი აკეთებს? — არა ვართ კმაყოფილი. და გინდათ, რომ მთავარი პროკურორი გადადგეს? — არ გვინდა. ეს ხომ სრული ნონსენსია. ამიტომ მოდით შევაფასოთ თვით საქმიანობა. მთავარი პროკურორის საქმიანობა, გასულ საანგარიშო პერიოდში შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც ტოტალური კრახი ორი ძირითადი მიზეზის გამო, პირველი — თითქმის არც ერთი დამნაშავე არ არის დასჯილი და მეორე —არც ერთი უდანაშაულო არ არის რეაბიტილირებული. ეს არის ფაქტი, რომელზეც საქართველოში ვერავინ ვერ დავობს და ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს ასე არის. ახლა ამ ფაქტიდან გამომდინარე, ორი სხვადასხვა ნაწილი საზოგადოებისა, სხვადასხვა დასკვნას აკეთებს. ერთი აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომ თუ მთავარი პროკურატურა ცუდად მუშაობს, ე.ი. მთავარი პროკურორიც ცუდად მუშაობს. მე არ მესმის იმ ადამიანების, მაგრამ არსებობს საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ მთავარი პროკურატურა ძალიან ცუდად მუშაობს, მაგრამ მთავარი პროკურორი კარგი კადრია...



## ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის ყველაფერს გააკეთებს“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პოლიცია და მთლიანად შს სამინისტრო, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიულ და მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ცესკოს თავმჯდომარესთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ჩვენ მაქსიმალურად მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, რათა მაქსიმალურად აღმოვფხვრათ და წინასწარი პრევენცია მოვახდინოთ ნებისმიერი ექსცესებისა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, ქვეყნის ისტორიაში მართლაც უპრეცედენტოდ მშვიდი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ. პოლიცია და მთლიანად ჩვენი სამინისტრო ამისათვის ყველაფერს გააკეთებს“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის თქმით კი, არჩევნების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ ყველაზე მწვავე კრიტიკოსსაც არ გაუჩნდეს ეჭვი, პოლიციის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის ან ჩარევის შესახებ.

ნიუსპრესი

## „დემოკრატიული მოძრაობა“ ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებს უნდობლობას უცხადებს

ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებს, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობიდან“ ეხმაურებიან.

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, ,,დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები, ,,ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ გახმოვანებული გამოკითხვის შედეგებს უნდობლობას უცხადებენ და მას თარხნიშვილის კანტორას მიაწერენ.

,,მე მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ არც „ენდიაი“ და არც „აირაი,“ ამ კვლევებს თვითონ არ აკეთებს. აღნიშნული კვლევა ჩაატარა ყველასათვის კარგად ცნობილმა თარხნიშვილის კანტორამ და მხოლოდ მის ტვინში თუ მომწიფდებოდა ის, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის ზრდამ 10%-იან ნიშნულს მიაღწია. ის ფაქტიც, რომ ამ გამოკითხვის მიხედვით დავით ბაქრაძე საქართველოში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, ყველაფერზე მეტყველებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ თარხნიშვილის გამოკითხვის არეალი, „ნაციონალური მოძრაობის“ სათაო ოფისს არ გასცდენია“ — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა ირაკლი ჭყოიძემ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსუდან შარაძე: „მამაჩემის მკვლელობა მეგის ქარდავას ორგანიზებულია“

შორენა გონგლაძე

გურამ შარაძის მკვლელობა შესაძლოა გაიხსნას, ეს იმ შემთხვევაში თუ პროკურატურა გამოიჩენს კეთილ ნებას და შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს. სიტყვა „კეთილი ნება“ აქ შემთხვევით სულაც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებას პრეტენზია აქვს სამართლიანობის აღდგენაზე, რატომღაც არ მახსენდება არც ერთი განცხადება არათუ მთავარი პროკურორის, არამედ ახალი ხელისუფლების არც ერთი წევრის მიერ გაკეთებული, სადაც გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიებას შეეხებოდა. მთავარმა პროკურორმა მხოლოდ ერთხელ ახსენა შარაძე და ისიც თავისი კარიერის დასაწყისში, როდესაც განაცხადა, რომ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანამდე გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გადახედვა არ მოხდებოდა. ანალოგიური ვითარებაა ახლად გამომცხვარ პარლამენტარებსა თუ გრანტიჭამია უფლებადამცველებთანაც, რატომღაც არც ერთს არ გახსენებია შარაძის მკვლელობა, სამაგიეროდ კაკაბაძემ ცხარე ცრემლით დაიტირა ათასი ჯურის დამნაშავე თუ უდანაშაულო. მართალია მის ცრემლებს მაშინვე გამოუძებნეს სინონიმი რაც ნიანგის „გულწრფელობასთან“ ასოცირდება, ყველაფერი კი გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცალკეული საქმეებიდან აღებული ფულით იყო განპირობებული, (თუმცა ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებთ, რადგან გვესმის, რომ ეს საკითხი აქტუალობას ხელისუფლების შეცვლამდე ვერ შეიძენს). პროკურატურას არც მაშინ გაუცხელებია თავი, როცა პირადად ბარათელმა მოითხოვა შარაძის მკვლელობის ხელახალი გამოძიება. მოკლედ, როგორც თავიდანვე გამოჩნდა, შარაძის მკვლელობის გახსნა არც წინა და სამწუხაროდ, არც ახალი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის, თუ რატომ, ეს კითხვაც ობიექტურ გამოძიებამდე პასუხგაუცემელია.

გურამ შარაძის შვილი, რუსუდან შარაძე სკანდალურ ინფორმაციას აჟღერებს და ამბობს, რომ გურამ შარაძის მკვლელობის ორგანიზება სამეგრელოში მოხდა. რუსუდან შარაძე ორგანიზატორებსაც ასახელებს, ხოლო მოწმე, რომელმაც პროკურატურას უკვე მისცა ჩვენება, საზოგადოებისთვის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ სახელდება.

— დადასტურებით ვაცხადებ, რომ მამაჩემის მკვლელობის ორგანიზება მოხდა სამეგრელოში. შეგნებულად არ ვასახელებ ამ პროცესის ყველა მონაწილეს, რადგან მათგან არაერთი დღესაც მუშაობს ძალოვან უწყებებში. გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში გამოჩნდა ახალი მოწმე, ის არის ყოფილი პოლიციელი, რომელიც მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში. სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა თენგიზ გუნავასთან, მეგის ქარდავასთან და კოხტა კოდუასთან, იყო მათი ნდობით აღჭურვილი პირი. მოწმემ გურამ შარაძის მკვლელობის ორგანიზების დავალება მიიღო პირადად მეგის ქარდავასგან და ამის მიხედვით მოწმეს, სამეგრელოდან თბილისში ძალოვანი უწყებიდან უნდა წამოეყვანა ორი კონკრეტული პირი, რომელთაც უნდა მოეკლათ გურამ შარაძე. ჩემთვის ცნობილია ამ ორი პირის ვინაობა, ერთ-ერთი მათგანი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში, მეორეს ადგილ-სამყოფელი ჩემთვის ცნობილია. — აცხადება რუსუდან შარაძე.



რუსუდან შარაძის თქმით, მამამისის მკვლელობაში ასევე ფიგურირებს გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, რომელიც მკვლელობის დაგეგმვასა და შესრულებას უწევდა ორგანიზებას. რუსუდან შარაძის განცხადებით, მისთვის ცნობილია თანხა, რომელიც გურამ შარაძის მკვლელობის შესრულებისთვის იქნა გადახდილი.

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, მოწმეს უნდა დაკავშირებოდა „მასტერა“, რომელიც გააცნობდა მკვლელობის შემდეგ გეგმას. მეგის ქარდავას დავალებით, მოწმეს გადასცეს კონკრეტული თანხა. ჩემთვის ასევე ცნობილია ამ თანხის რაოდენობაც, მაგრამ დღეს კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, ის კონკრეტულად კოხტა კოდუამ გადასცა ამ მოწმეს. მოწმემ უარი თქვა მეგის ქარდავას დავალების შესრულებაზე, რის გამოც ის და მისი ახლობლები იმყოფებოდნენ ტერორის ქვეშ. ჩემთვის ასევე ცნობილია ის ფაქტი, რომ სამხარეო პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, ყოფილმა გუბერნატორმა და ამჟამად მსჯავრდებულმა თენგიზ გუნავამ, მოწმეს, ზეწოლის მიზნით თავის არეში უმოწყალოდ სცემა. ამ ადამიანმა მამაჩემზე ხელი არ აწია, არ მოკლა, დღეს უკვე მან მისცა ჩვენება პროკურატურას.

მივმართავ საქართველოს პროკურატურას და მოვითხოვ, დაჩქარდეს გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიება და დადგინდეს სიმართლე, ვინ და რა ვითარებაში მოკლა მამაჩემი, ვის შეკვეთას ასრულებდა თავად მეგის ქარდავა. ასევე მივმართავ მოწმეებს, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ უთქვამთ სიმართლე — უმორჩილესად გთხოვთ, ამით თქვენც გათავისუფლდებით და ჩვენც მადლიერი დაგრჩებით. — აცხადებს რუსუდან შარაძე.

შეგახსენებთ, რომ პროფესორ გურამ შარაძეს 2007 წლის 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ცეცხლსასროლი იარაღი სამჯერ ესროლეს, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა. გურამ შარაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა გიორგი ბარათელი დააკავეს, თუმცა შარაძის ოჯახი ბარათელს მკვლელად არ მიიჩნევს და დღემდე მკვლელობის პოლიტიკურ მოტივზე საუბრობს.

# დაინიშნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური

## გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას გამოკითხულთა 29% უჭერს მხარს

შორენა გონგლაძე

კოალიცია „ქართული ოცნება“ და პრემიერ-მინისტრი პოპულარობას ინარჩუნებენ, „ნაციონალური მოძრაობა“ კი ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად რჩება“ — ეს განცხადება ენ-დი-აი-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ ჟურნალისტებთან ენდიაის მიერ კვლევის შედეგების კომენტირებისას გააკეთა. აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით კვლევა 12-26 ივნისის პერიოდში საქართველოს მასშტაბით შემთხვევით შერჩეული 2 338 რესპონდენტის პირისპირ ინტერვიუს გზით ჩატარდა და მისი ცდომილების ზღვარი +/– 2.9 %-ს შეადგენს. კვლევას შვედეთის განვითარების სააგენტო აფინანსებს და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი ატარებს.



— პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და კოალიაცია „ქართული ოცნება“ კვლავ რჩებიან ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ მოთამაშეებად საქართველოში. ამავდროულად გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციის არსებობდა და ასევე თად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებენ. წინასაარჩევნო პერიოდში ამ ადრეულ ეტაზე, გიორგი მარგველაშვილი 3/1 შეფარდებით წინ უსწრებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაუსახელებელ კანდიდატს, თუმცა უცნობია, რა არჩევანს გააკეთებს რესპონდენტთა თითქმის ნახევარი არჩევნების დღეს — განაცხადა ნავარომ.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 92%-ს მოსწონს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გამოკითხულთა 69%-ს მოსწონს, თუმცა წინა კვლევის დროს რომელიც ამა წლის მარტის თვეში ჩატარდა, ეს მაჩვენებელი ივანიშვილთან დაკავშირებით 75%-ს შეადგენდა. ბიძინა ივანიშვილს ამ რეიტინგში მოსდევს დავით უსუფაშვილი 61%-ით, თუმცა მისი მოწონების მაჩვენებელიც წინა კვლევასთან შედარებით ხუთი პროცენტით არის შემცირებული.

გამოკითხულთა 52%-ს მოსწონს ეკა ბესელია, 51%-ს — თინა ხიდაშელი (წინა კვლევაში 59%), 46%-ს დავით ბაქრაძე, 46%-ს ზვიად ძიძიგური, 45%-ს გიორგი მარგველაშვილი, 42%-ს კობა დავითაშვილი, 41%-ს მანანა კობახიძე, 39%-ს დავით ბერძენიშვილი, 38%-ს სალომე ზურაბიშვილი, 33% — ზაქარია ქუცნაშვილი, 32% — გიორგი თარგამაძე, 32% — დავით საგანელიძე, 29% — გოგი თოფაძე, 28% — კახა კუკავა, 26% — გუბაზ სანიკიძე, 25% — ზურაბ აბაშიძე, 25% — გიგი უგულავა, 23% — მიხეილ სააკაშვილი (წინა კვლევაში 25%), 21% — ნინო ბურჯანაძე (წინა კვლევაში 16%), 17% — ვანო მერაბიშვილი (წინა კვლევაში 26%), 14% — ლევან ვასაძე.

გამოკითხულთა 87%-ს მოსწონს პატრიარქის საქმიანობა, 55%-ს ბიძინა ივანიშვილის, 36%-ს დავით უსუფაშვილის, 23%-ს არჩილ კბილაშვილის, 26%-ს დავით ბაქრაძის, 17%-ს დავით საგანელიძის, 12%-ს უჩა ნანუაშვილის, 6%-ს ზურაბ ხარატიშვილის, 11%-ს მიხეილ სააკაშვილის, 11%-ს გიგი უგულავას, 5%-ს გიგა ბოკერიასი.

რაც შეეხება მინისტრებს, მათი რეიტინგები კი ასე გამოიყურება: 43% დადებითად აფასებს ირაკლი ალასანიას და თეა წულუკიანის მოღვაწეობას, 40% — ირაკლი ღარიბაშვილის, 30% — გიორგი მარგველაშვილის, 30% — კახი კალაძის, 28% — მაია ფანჯიკიძის, 28% — სოზარ სუბარის, 25% — ნოდარ ხადურის, 23% — დავით სარგეენკო, 17% — დავით ნარმანია, 16% — ალექსი პეტრიაშვილი, 17% — პაატა ზაქარეიშვილი, 15% — დავით დარახველიძე.

კვლევაში მონაწილეთა 59%-ს მოსწონს საქართველოს ჯარის საქმიანობა, 55%-ს — ქართული პოლიციის საქმიანობა, 45%-ს კოალიცია „ქართული ოცნების“, 24%-ს — მთავარი პროკურატურის, 26%-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროსი, 23%-ს პარლამენტის, 17%-ს სახალხო დამცველის აპარატის, 18%-ს სასამართლოების, 13%-ს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 11%-ს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, 8%-ს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, 6%-ს პროფკავშირების, 9%-ს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“.

კითხვაზე — როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას შემდეგ სფეროებთან მიმართებაში? გამოკითხულთა 39%-ს მოსწონს მისი საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში, 36%-ს ციხეებთან მიმართებაში, 35%-ს განათლების სფეროში, 28%-ს ადამიანის უფლებათა სფეროში, 30%-ს ჯანდაცვის, 29%-ს პენსიების, 27%-ს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, 21%-ს ეროვნული უსაფრთხოების, 21%-ს გადასახადების, 19%-ს კრიმინოგენური მდგომარეობის, 18%-ს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში, თუმცა პრემიერის საქმიანობის უარყოფითად შემფასებელთა რაოდენობა ამ სფეროებში უფრო მეტია.

დადებული შედეგებით ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმეტესობის აზრით არსებულ პრობლემებს მმართველი გუნდი მოაგვარებს ყველაზე უკეთესად.



„ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 17% აცხადებს, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ის და მისი ოჯახი უკეთესად არის, ხოლო 70% მიიჩნევს, რომ იგივე მდგომარეობაშია. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 64% ამბობს, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ისევ იგივე მდგომარეობაშია, ხოლო 3%-ის თქმით, უკეთესად არის. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 62% მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება (წინა კვლევის თანახმად, ეს მაჩვენებელი 74%-ს შეადგენდა), „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა 13% თვლის, რომ საქართველოს სწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო 61%-ის აზრით — არასწორი მიმართულებით.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 45% თვლის, რომ საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია, 40% კი მიიჩნევს, რომ დემოკრატია არ არის. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა მხოლოდ 24% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა, 63% კი — არა.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 58%-ის აზრით, საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია უმცირესობების უფლებების დაცვა. იგივე პოზიციას იზიარებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 57%.

„ქართული ოცნების“ მომხრეების 77% თვლის, რომ არსებული ხელისუფლება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა 29%-იც ასე ფიქრობს, ხოლო მათი 46%-ის აზრით, ეს ასე არ არის.

გამოკითხულთა 75% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციის არსებობს მნიშვნელოვანია, ასევე ფიქრობს თბილისელთა 84%. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 74%-ის აზრითაც ქვეყანაში აუცილებელია ძლიერი ოპოზიციის არსებობა, ასე ფიქრობს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 86%-იც და 75% იმ ადამიანებისა, რომლებიც არც ერთი პარტიის მხარდამჭერები არ არიან.

მმართველი ძალის მომხრეების 79% არ იცნობს ისეთ ადამიანს, ვინც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო დაითხოვეს, 14% კი ასეთ ადამიანებს იცნობს. ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 34% იცნობს ასეთ ადამიანებს, ხოლო 56% — არ იცნობს. „ქართული ოცნების“ მომხრეების 29% მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს და ასევე ფიქრობს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების 56%, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა 41%-ის აზრით, რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე გაზვიადებულია და ამავე აზრზეა „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა 21%.

მმართველი გუნდის მომხრეთა 57%-ს რუსეთთან საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა არ მოსწონს, ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა 78%-ს და 69%-ს იმ ადამიანებისა, ვინც არც ერთი პარტიის მხარდამჭერი არ არის.

კითხვაზე — რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? გამოკითხულთა 52% „ქართულ ოცნებას“ ასახელებს (წინა კვლევის თანახმად, 60%), 15% ამბობს, რომ არც ერთი პარტია, ხოლო 10% „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს. გამოკითხულთა 47%-ის აზრით ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ნაციონალურ მოძრაობას“ მიიჩნევს, 4% — დემოკრატიულ მოძრაობას, 3-3% აქვთ „ლეიბორისტულ პარტიას“, „თავისუფალ საქართველოსა“ და „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“.

კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს გამოკითხულთა 73%, ხოლო კითხვაზე — ყველაზე მეტად ვის ისურვებით საქართველოს მომავალ პრეზიდენტად? გამოკითხულთა 29% გიორგი მარგველაშვილს ასახელებს, 26%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, 10% „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს უჭერს მხარს, 5% — ნინო ბურჯანაძეს, 4% — გიორგი თარგამაძეს, 3-3% — შალვა ნათელაშვილსა და სალომე ზურაბიშვილს.

გამოკითხულთა 70% დადებითად პასუხობს კითხვაზე — ხვალ რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? მათგან 54% „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას, 19%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, 10% — „ნაციონალურ მოძრაობას“, 3-3% „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“, 2% კი სხვა პარტიებს.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი თარგამაძე ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის ენ-დიაი-ს კვლევებით კმაყოფილია.

როგორც თარგამაძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისასალმებელია რომ მის პერსონას საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობის 32%-ზე მეტი დადებითად აფასებს.

— საკმაოდ საინტერესო მონაცემები დადო ამერიკის დემოკრატიულმა ინსტიტუტმა, ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებულ მაჩვენებელი 32%-ზე მეტია რაც ნამდვილად მისასალმებელია. გამომდინარე იქიდან რომ პირადად მე და ჩემი პარტია პასიურ მდგომარეობაში იყო არჩევნების შემდეგ დღეს გვიწევს მეტი აქტიურობა. გარდა ამისა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ჩემი დასახელება მოხდა რამდენიმე დღის წინ. მე მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ დიდია სასტარტო პოზიციაა — აცხადებს თარგამაძე. მისსივე განცხადებით, „ქრისტიან-დემოკრატებს“ მხარდამჭერების 4-5 % პარტიული საარჩევნო ბაზა აქვს.

— მე რთულად წარმომიდგენია, რა შეიძლება მოხდეს ამ კამპანიის დროს ისეთი, რომელიც „ქართული ოცნების“ კანდიდატს პირველ ტურში შედეგის მიღწევის გარანტიას მისცემს. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ არასაპარლამენტო პოლიტიკურ კანდიდატებს ბრძოლაში ჩართვის და სერიოზული შედეგის მიღწევის დიდი შანსები გვაქვს. აქ ასავე გასათვალისწინებელი და ძალიან მნიშვნელოვანია 34 %, რომელიც არჩევნებში მისვლას აპირებს, მაგრამ ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული ვის მისცემს ხმას. მათ ან არ აქვს ჩამოყალიბებული თავისი აზრი, ან ელოდება ახალი კანდიდატის გამოჩენას. იმ მომენტისთვის, როცა კვლევა ჩატარდა, ჩემი კანდიდატურა არ იყო წარდგენილი. ფაქტია, რომ ეს 34 % მარგველაშვილს მხარს არ დაუჭერს, რადგან ვისაც მისი მხარდაჭერის გამოხატვა უნდოდა, შესაბამისი აზრი კვლევაში უკვე ჩამოაყალიბა. არ გამოვრიცხავ, რომ ამ 34 %-დან მათ შორის სამთავრობო კანდიდატზეც გადანაწილდეს გარკვეული კეთილგანწყობა, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი 50 %-ზე მეტის მისაღებად — აცხადებს თარგამაძე.

ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებს გამოეხმაურა უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც. ჭიაბერაშვილის კმაყოფილება ძირითადად გამოიხატა იმაში, რომ კვლევის მიხედვით „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა. რაც მისი თქმით, ეკონომიკური პრობლემებით და შეუსრულებელი დაპირებებით არის განპირობებული.

# დავით უსუფაშვილი: „პარლამენტი ხმაურიანი უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანო ნელნელა იბრუნებს ტრადიციულ სახეს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი პარლამენტი ყოველთვის მუშტზე და გაწევ-გამოწევაზე იყო ორიენტირებული. სპორტის სასახლეში არ გამართულა მგონი იმდენი ჩხუბი, რამდენიც პარლამენტის კედლებში.

ეს ტრადიცია ვარდების რევოლუციის შემდეგ დაირღვა. 2 მოწვევის პარლამენტმა ისე დაამთავრა მუშაობა, ჩხუბი სულ რამდენჯერმე დაფიქსირდა. ხელჩართულ ბრძოლაზე არც ახალი მოწვევის პარლამენტში გადასულან. თუმცა, გარკვეული „სასიკეთო“ ძვრები ამ მიმართულებით აშკარად შეიმჩნევა.

რამდენიმეთვიანი მუშაობის პროცესში დეპუტატებმა უკვე მოასწრეს გაქაჩვა-გამოქაჩვა. სიტყვიერი დაპირისპირება კი უკვე სერიოზულ მასშტაბებს იძენს. ამ მხრივ არც წინა კვირა იყო გამონაკლისი. ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის სხდომაზე ზაზა პაპუაშვილმა ნაციონალი კოლეგები, მათ შორის ჩიორა თაქთაქიშვილიც დააწიოკა.

დაწიოკებულმა ჩიორამ მტარვალი პაპუაშვილის საქმის განხილვა მოისურვა. ამ საქმის განხილვის სურვილი მეოცნებეებს ჯერ არ გამოუთქვამთ. პარლამენტში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილო არც პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი გახლავთ. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ამაყობს, ეს პარლამენტი წინა მოწვევის პარლამენტზე ბევრად უფრო ხმაურიანია.

— ბოლო რვა თვის განმავლობაში ყველა თემაზე გვქონდა მსჯელობა და დებატები, ჩვენ გვქონდა საუბარი ეთიკის კოდექსზეც, მაგრამ არ გვისაუბრია იმ ტერმინებზე, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ. დიახ, ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს პარლამენტი უფრო ხმაურიანია, ვიდრე წინა იყო. თუ არ არის ხმაური და დებატები, მათ შორის ემოციური, მაშინ საზოგადოებაში იქნება მწვავე დებატები, რაც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. პარლამენტში კიდევ უფრო ცხარე დებატებია საჭირო, მაგრამ თუ მეორე კომპონენტს არ მივაქცევთ ყურადღებას, საზოგადოება უარყოფითად განეწყობა პარლამენტის მიმართ, — განაცხადა უსუფაშვილმა.



პარლამენტის სპიკერმა იმ საერთაშორისო პრაქტიკაზეც ისაუბრა, რომელიც პარლამენტარების ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს არეგულირებს.

— ეს ფრაზეოლოგია საშუალებას მოგვცემს ეკამათო აზრს და არა პიროვნებას, — მიიჩნევს უსუფაშვილი.

ისევე, როგორც სრულიად საქართველო, უსუფაშვილიც მოუთმენლად ელოდება საპრეზიდენტო არჩევნებს. არჩევნები ოქტომბრის დამლევს ტარდება. მთელი რიგი პარტიები მეოცნებეებს აქედანვე აფრთხილებენ, რომ არჩევნების გაყალბებაზე არც იოცნებონ.

ყველაზე საინტერესო ის ფაქტი გახლავთ, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით თვით ნაციონალური მოძრაობაც კი გამოდის. დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოგვიწოდებს ნატო და ამერიკაც.

საკანონმდებლო ორგანოს თავკაცი ამბობს, რომ ახალი ხელისუფლებისთვის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია.

— საპრეზიდენტო არჩევნები იმ ჩარჩოებში ჩატარდება, რაც პრემიერ-მინისტრმა თავის მიმართვაში ჩამოაყალიბა. ეს არის ჩვენი ხელისუფლების განაცხადი, რომ საქართველოში ჩატარდეს სამაგალითოდ სუფთა, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები. შესაბამისად, პირველ რიგში ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ შეგვიძლია ერთმანეთის არმოტყუება და შეგვიძლია არჩევნები ისე ჩავატაროთ, რომ ნახევარი საქართველო მეორე ნახევარს ხელში არ უყურებდეს, რომ ბიულეტენები არ ჩაყარონ, არ მოიტაცონ ან არ გადაასწორონ. ამ სამარცხვინო და საშინელ სენს ამ არჩევნებში ბოლო უნდა მოეღოს. ეს ჩვენი მთავრობის ამოცანაა. ამავე დროს ჩვენი პოლიტიკური გუნდის წარმატება ჩვენი პრიორიტეტია და „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი უახლოეს დღეებში წინასაარჩევნო კამპანიას სრულფასოვნად შეუდგება. სხვებმა უკვე დაიწყეს, ასე რომ, ამ თვალსაზრისით საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია და მთავრობის, პარლამენტის ამოცანა ამ ძალიან მნიშვნელოვანი ტესტის ჩაბარებაა, — აღნიშნა სპიკერმა.

ცოტა ხნის წინ ხმა გავარდა, რომ პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას. მეოცნებეები დღენიადაგ იმის მტკიცებაში არიან, რომ მათ კანდიდატს ვერავინ მოერევა. ამის მიუხედავად, ბურჭულაძის ამბავმა მათ თავზარი დასცა. კიდევ კარგი, ბურჭულაძემ პოლიტიკაში ჩართვაზე ბოლო მომენტში უარი თქვა, თორემ, მეოცნებეები ცუდ დღეში ამოჩნდებოდნენ. ბურჭულაძის ეს გადაწყვეტილება პარლამენტის თავკაცსაც მოეწონა. უსუფაშვილი პაატა ბურჭულაძეს წარმატებებს უსურვებს, მაგრამ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ხარჯზე — ვერა.

— ბატონი პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილება მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. მისი ადგილი, როლი, მისი მოღვაწეობა სცენაზე და საქველმოქმედო ასპარეზზე შეუცვლელია. წარმატებას ვუსურვებ მას პროფესიულ საქმიანობაში და თუ ის ოდესმე პოლიტიკოსობასაც გადაწყვეტს, ასევე წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ თუ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, ცხადია, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ხარჯზე — ვერა. დანარჩენი ყველაფერში წარმატებას უსურვებ, ის არის უნიკალური დამსახურების ადამიანი დღევანდელობაში, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ჩვენში საკმაოდ დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებამ. ამ დაკავებებს დავით კირვალიძის სავარძელი შეეწირა.

დაკავებული მაღალჩინოსნები უკვე დიდი ხანია ზეწოლაზე ჩივიან. წინა კვირაში ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ მას დავით კირვალიძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

ამ პროცესებს სხვებთან ერთად პარლამენტის სპიკერიც დიდი გულისყურით ადევნებს თვალს. უსუფაშვილის განცხადებით, სამართალდამცავი სისტემისა და მოქალაქეებისთვის ჯობია, დასკვნები წინასწარ არ გავაკეთოთ.

— გაზრდილი ინტერესი ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისადმი კარგია. მისასალმებელია, რომ შიდა და გარე მონიტორები დიდი ყურადღებით აკვირდებიან საქმეებს. ამ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლების მიერ დანიშნულ პირებზეა საუბარი და ამ თვალსაზრისით, ალბათ, ამ საქმეს პოლიტიკური პრობლემები არ აქვს. ამავე დროს, სამართალდამცავ სისტემას სჭირდება მუდმივი კეთილგანწყობილი, კონსტრუქციული მონიტორინგი ყველას მხრიდან, ამიტომ თუ ასეთი განცხადებები კეთდება კონკრეტული მოქალაქეების მხრიდან, ისინი სიღრმისეულად უნდა იყოს შესწავლილი. თუ კარგი გვინდა ამ მოქალაქეების ან თვითონ სისტემისთვის, წინასწარი დასკვნებისგან თავის შეკავება ჯობია. ეს არ ნიშნავს თავის შეკავებას აქტიურობისგან, კითხვების დასმისგან, მაგრამ დასკვნები გავაკეთოთ, როცა მეტი გვეცოდინება, — აღნიშნავს სპიკერი.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ეძებს გზებს, რომ საქართველომ მიიღოს ის დახმარება და თანადგომა, რაც ეუთო-ს ქვედანაყოფების მხრიდან არის შესაძლებელი.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ძალისხმევით, ეუთო საქართველოში სრულყოფილად წარმოდგენილი ვერ არის, ჩვენ ვეძებთ გზებს, რომ საქართველომ მიიღოს ის დახმარება და თანადგომა, რაც ამ ორგანიზაციის ქვედანაყოფების მხრიდან არის შესაძლებელი. ეუთო ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა და მინდა, პარლამენტის სახელით დავადასტურო ამის სურვილი, — განაცხადა უსუფაშვილმა, რომელიც გუშინ პარლამენტის ეთიკის კოდექსისა და ზოგადად პარლამენტართა ქცევის წესების შესახებ გამართულ სემინარში ღებულობდა მონაწილეობას.

უსუფაშვილის თქმით, უნდა მოიძებნოს ის მექანიზმები, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატური იქნება ჩვენი რეალობისთვის.

— პარლამენტის წევრს არ უნდა შევუზღუდოთ სიტყვის და მოსაზრების გამოთქმის თავისუფლება და რაიმე სანქციის შიშით, ადამიანი არ უნდა იყოს დათრგუნული, შესაბამისად ეთიკის ნორმები და ქცევის სტანდარტები არ უნდა აღმოჩნდეს არასწორი ინსტრუმენტი უმრავლესობის მხრიდან უმცირესობასთან გამკლავების, ან ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფთან ურთიერთობის გარკვევის საშუალება, ამიტომ მექანიზმებიც მნიშვნელოვანია. შესაძლოა ჟურნალისტებსაც და საზოგადოებასაც ახალისებს ხოლმე გადაცდომები დეპუტატების მხრიდან, მაგრამ ეს საბოლოო ჯამში ძვირად გვიჯდება. იმიტომ, რომ გადაწყვეტილებებს ხარისხი აკლდება და პოლიტიკური პროცესისადმი ნდობა ეცემა, — განაცხადა უსუფაშვილმა.

## პოლიციამ განზრახ მკვლელობისთვის უზბეკეთისა და საქართველოს მოქალაქეები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს და ხულოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, უზბეკეთის მოქალაქე ხაეტ რ. და საქართველოს მოქალაქე კახა დ., დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო ანზორ დ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს. ამავე დანაშაულში მხილებულია უზბეკეთის მოქალაქე ნარგიზბეგიმ რ., რომელმაც საქართველო 31 მაისს დატოვა.

სამართალდამცველებმა 2013 წლის 3 ივლისს, ხულოს რაიონის სოფელ ბეშუმთან, ტყეში ახალგაზრდა ქალის გვამი აღმოაჩინეს. ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დადგინდა, რომ გარდაცვლილი უზბეკეთის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული რაიხონ კ. იყო. გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულში მხილებულ ნარგიზბეგიმ რ-ს და გარდაცვლილს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უთანხმოება ჰქონდათ. ნარგიზბეგიმ რ-მ შურისძიების მიზნით ბრალდებულ ხაეტ რ-ს და კახა დ-ს, რაიხონ კ-ს მკვლელობა დაუკვეთა, რისთვისაც მათ 2 000 აშშ დოლარი გადაუხადა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, 2013 წლის 22 მაისს, ანზორ დ-ს კუთვნილი ტაქსით რაიხონ კ. მოტყუებით წაიყვანეს და ხულოს რაიონის სოფელ ბეშუმთან ტყეში მოკლეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულები საგამოძიებო-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 12 ივლისს ბათუმში დააკავეს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, სსსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

## ეკლესიის ავტოკეფალია ცხინვალმაც მოითხოვა

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე წლის წინ აფხაზმა სასულიერო პირებმა რუსეთის და საქართველოს საპატრიარქოს საგანგებო წერილით მიმართეს და აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს. აფხაზთა მოთხოვნა არც ქართულმა და არც რუსულმა ეკლესიამ არ დააკმაყოფილა.

ამ დროისათვის აფხაზურ ეკლესიაში დიდი განხეთქილებაა და იქაური ეკლესია ორად არის გაყოფილი. მხარეები ერთმანეთს ებრძვიან, ამასთან ამტკიცებენ, რომ აფხაზური ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მოტანა მხოლოდ მათ შეუძლიათ.

აფხაზეთის ეკლესიის გარშემო მიმდინარე პროცესებს ცხინვალშიც დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ. ავტოკეფალია კი მხოლოდ ამ დღეებში მოითხოვეს. არადა, მათ ეკლესიაში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა. ამის მიუხედავად, ოსები მიიჩნევენ, რომ მათ დამოუკიდებლობა ეკუთვნით.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ „რეს“-ი აქვეყნებს სტატიას სახელად „სამხრეთ ოსეთის ეკლესია. ხომ არ მოვიდა დამოუკიდებლობის მოპოვების დრო?“ სტატიაში საუბარია, რომ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სამხრეთ ოსეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას.

სააგენტო „რესის“ განმარტებით, რუსეთის ეკლესიას ეშინია, რომ თუ ის აღიარებს ცხინვალის და აფხაზეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას, საპასუხოდ საქართველოს ეკლესია მხარს დაუჭერს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას. ეს კი, სტატიის ავტორის თქმით, მართლმადიდებლურ სამყაროში კატასტროფის ტოლფასია.

სტატიის ავტორი ცდილობს ოსთა ავტოკეფალიის ისტორიული საფუძვლის დასაბუთებას და აღნიშნავს „ალანიის ეპარქიის“ შესახებ ისტორიული ცნობები ჯერ კიდევ 451 წლის ქალკედონიის მსოფლიო კრებაზე ეძებოს. „რესის“ მტკიცებით, მაშინ ეპარქია ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდა.

სტატიაში ხაზგასმით არის საუბარი ის ფაქტზე, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ სამხრეთ ოსეთის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიად მიჩნევის მიუხედავად, რუსები არ ერიდებიან სამხრეთ ოსეთის საეკლესიო საქმეებში ჩარევას.

სტატიის ავტორის თქმით, ტრადიციის თანახმად, რუსულ ეკლესიებში, ღვთისმსახურების დროს უნდა ადიდონ ყველა დამოუკიდებელი ეკლესიის პატრიარქი, ხოლო ის ფაქტი, რომ სადმე სამხრეთ ოსეთში ადიდებენ ილია II-ს, ჟურნალისტის თქმით, მიუღებელია.

საინტერესოა, როდის მიმართავს ცხინვალის ხელისუფლება რუსეთის საპატრიარქოს. პასუხი ალბათ ისეთივე იქნება, როგორი პასუხიც აფხაზებმა მიიღეს. რუსეთის პატრიარქმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ისინი აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ.




სანამ ოსები ეკლესიის ავტოკეფალიას ითხოვენ, აფხაზი სასულიერო პირები ერთმანეთს საქმეებს ურჩევენ. აქაურ ეკლესიაში განხეთქილება 2011 წლის მარტის დამლევს დაიწყო. უკმაყოფილების მიზეზი რუსეთის პატრიარქის მიერ მოვლენილი სასულიერო პირი იყო, რომელიც ახალი ათონის, სვიმონ კანანელის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

პორტალ „ეხო კავკაზას“ ცნობით, სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის ინიციატივით, სოხუმის საკათედრო ტაძარში შეკრება გაიმართა. მასში სასულიერო ეპარქიის ცხრა წარმომადგენელი და 80 სამღვდელო პირი მონაწილეობდა.

კრებაზე ახალი ათონის მონასტერთან დაკავშირებული ვითარება განიხილეს, ასევე ეპარქიის მეთაურმა მთელ მსოფლიოს მოუწოდა, იფიქრონ თუ როგორ შეწყვიტონ განხეთქილების შემომტანების საქმიანობა.

როგორც ცნობილია, აფხაზურ ეკლესიაში განხეთქილებაა. ერთი ნაწილი რუსეთის ეკლესიასთან მიერთების წინადადებით გამოდის, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ავტოკეფალიის აღდგენაა შესაძლებელი.

ცოტა ხნის წინ ყუბანის მიტროპოლმა რუს მორწმუნეებს შეახსენა, რომ დაუშვებელია იმ ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ახალი ათონის მონასტერში ტარდება.

— დოროთეი დბარსა და ანდრეი ამპარს, რომლებიც იმყოფებიან განხეთქილებაში მართლმადიდებულ ეკლესიასთან, არ აქვთ საეკლესიო მღვდელმსახურების ჩატარების უფლება. სავალალოა, რომ ისტორიული ახალი ათონის მონასტერი აღმოჩნდა იმ პირთა ხელში, რომლებმაც გაწყვიტეს ერთობა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, — საუბარია მიტროპოლის განცხადებაში.

სხდომაზე ერთ-ერთმა სასულიერო პირმა აღნიშნა, რომ დოროთე მსოფლიოს პატრიარქმა ყველა ეკლესიაზე ერთადერთ ხელისუფლად დაადგინა, თუმცა ასე არ არის. იერუსალიმის ეკლესიის დაცემის შემდეგ და კონსტანტინოპლის, როგორც მეორე რომის აღორძინების შემდეგ, პირველ ადგილზე კონსტანტინოპოლის ეკლესიამ გადმოინაცვლა.

— დღეს სტამბოლი არც ეკონომიკურ და არც სასულიერო ცენტრს არ წარმოადგენს. პატრიარქი ბართლომე მსოფლიო კრებას საკუთარი ხელისუფლების დასამტკიცებლად იწვევს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ პატრიარქი სხვებთან თანასწორს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი სტრატეგიაა რუსულ მართლმადიდებულ ეკლესიასთან მიერთება და შემდგომი განვითარებაა, — აღნიშნა გუდაუთის ეკლესიის წარმომადგენელმა ვლადიმერ პოროსიანიკოვმა.

დიაკონმა დიონისე ბისტროვმა კი დამსწრეებს შეახსენა, რომ ვისარიონ (ბასარიონ) აპლიამ ათონის მთის ბერები მოსკოვში სასწავლებლად გააგზავნა. მისი თქმით, ბერები არავის არაფერს არ უნდა ასწავლიდნენ და, მით უმეტეს, მორწმუნეებს არ უნდა ხლეჩდნენ. ბასარიონმა გამომსვლელებს მოუწოდა, ესაუბრათ იმაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ახალი ათონის ბერები და არ გადასულიყვნენ პოლიტიკაზე.

სხდომის დასასრულს სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა მიტროპოლიის წარმომადგენლებს ულტიმატუმი წაუყენა: მათ ორი კვირის განმავლობაში დანაშაული ან უნდა მოინანიონ, ან მათ ტიტულებს ჩამოართმევენ.

# „ნატახტარმა“ ფესტივალი თბილისიდან დაიწყო







**მე-4 წელია** ლუდსახარში „ნატახტარი“ „ვარდების მოედანზე“ ლუდის ფესტივალს ატარებს. ამერიკასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულ ფესტივალების ერთადერთი ანალოგი საქართველოში სწორედ „ნატახტარია“ და გასულ უიქ-ენდზე თავიანთი მომხმარებელი კიდევ ერთხელ ასიამოვნა.

„ნატახტარმა“ და საქართველოს ნარდის ფედერაციამ ტურნირიც გამართეს. შეჯიბრი როგორც ინდივიდუალურად, ასევე გვარებს შორის მოეწყო. საუკეთესო ხუთეული მჭედლიშვილების გვარს აღმოაჩნდა, რომელმაც ფინალში ბრეგვაძეების გვარს მოუგო. ცხადია, ფინალისტები „ნატახტარისგან“ სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ფესტივალზე მოხვედრა ყველა მსურველს შეეძლო და უამრავი გასართობის მონაწილე თუ არა, მომსწრე მაინც გახდა. რამდენიმე საინტერესო კონკურსის გარდა შეჯიბრი, რა თქმა უნდა, ლუდის სმაშიც მოეწყო.

ორი დღის განმავლობაში ფესტივალზე დამსწრეთ თან სდევდა „მელოუს“, „სვანსიხის“, „ლაუდსფიქერსის“, „სალიოს“, „ზარების“, „ზურგისა“ და ელენე კალანდაძის მუსიკა. მუსიკალური დახურვის პატივი კი, ამჯერად, ჯგუფ „შინს“ ხვდა წილად.

აღსანიშნავია, რომ „ნატახტარმა“ ამჯერად განსხვავებული პროდუქცია შესთავაზა ფესტივალის მონაწილეებს. წელს პირველად გამოჩნდა ფესტივალზე „კაიზერი“ და „კოზელი“. მათ გარდა, შეგეძლოთ დაგეგემოვნებიათ „ნატახტარი“, „მთიელი“ და „ეფესი“.

არ იფიქროთ, ფესტივალზე მოხვედრა მარტო ლუდის მოყვარულთ შეეძლოთ: იქვე იყო გაკეთებული ბავშვთა კუთხე. მშობლებს შეეძლოთ „ნატახტარის ლიმონათთან“ ერთად დაეტოვებიათ ბავშვები მინი გასართობ ცენტრში, თავად კი თამამად ესვათ ლუდი.

**ნინო სურმავა, კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

– ფესტივალი თანდათან უფრო პოპულარული ხდება. პირველ წელს დამსწრეთა რაოდენობა 10.000 კაცი იყო, ხოლო შარშან მათი რაოდენობა 25.000-მდე გაიზარდა. რა იქნება წელს, ჯერ არ ვიცით, მაგრამ თუ დალეული ლუდის რაოდენობით ვიმსჯელებთ, კიდევ უნდა გაზრდილიყო. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ლუდის ფესტივალი წარმატებულია და ხალხს სიამოვნებს დასწრება. ჩვენც ვიზრდებით ამ დროის მანძილზე – ის პატარ-პატარა ხარვეზები, რომელიც გვქონდა ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ ახალბედები ვიყავით და გამოუცდელები, თანდათან გამოვასწორეთ. პირველ რიგში საინტერესო ის არის, რომ ლუდის მოყვარულთ უკვე შეეძლებათ ბავშვებთან ერთად მოვიდნენ, დატოვონ ისინი საბავშვო კუთხეში და თავად სიამოვნებით მიირთვან ლუდი, სანამ ბავშვებს ანიმატორები გაართობენ.

***– როგორც ვიცით, „ნატახტარი“ წელს მარტო თბილისში ჩატარებული ფესტივალით არ შემოიფარგლება და მის ჩატარებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გეგმავს.***

– ვთვლით, რომ ფესტივალების ჩატარების საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა და გვაქვს იმის ამბიცია, რომ მსგავსი დღესასწაულები საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილსაც შევთავაზოთ, რომელიც ფესტივალებზე დასწრებას სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდა. ამიტომ გადავწყიტეთ ჩვენ მივიდეთ იმ ადამიანებამდე. 25 აგვისტომდე, ყოველ შაბათკვირას თბილისის გარდა კიდევ 7 ქალაქში ჩავატარებთ მგავს ფესტივალს. შემდეგი უიქ-ენდი რუსთავს დაეთმობა, შემდეგ – თელავს, გორს, ქუთაისს, ზუგდიდს და ფესტივალს შავიზღვისპირეთში დავასრულებთ ფოთსა და ბათუმში.

**ოთო ლეჟავა, ორგანიზატორი:**

– ფესტივალის ჩატარების იდეა 4 წლის წინ გაჩნდა, საკმაოდ მასშტაბურია, ყოველწლიურად იზრდდება, ვითარდება, ემატება ახალი ლუდის ბრენდები. რც მთავარია ხალხს უყვარს ეს ფესტივალი, მოდის და სვამს ძალიან ბევრ ლუდს.

***– ხომ არ იგეგმება უფრო მასშტაბური გათვლა და უცხოური ლუდების გამოჩენა ფესტივალზე?***

– უცხოური ლუდები ახლა იყო ფესტივალზე – „კოზელი“ ჩეხურია, ხოლო „კაიზერი“ გერმანული. ეს ნიშნავს, რომ კომპანია „ნატახტარი“ ვითარდება. გარდა ამისა, ფესტივალებმა გვიჩვენა, რომ თბილისში ლუდი ძალიან ბევრ ადამიანს ყვარებია, განსაკუთრებით, „ნატახტარი“.

**თორნიკე, ფესტივალის სტუმარი:**

– უკვე მეოთხე წელია ლუდის ფესტივალზე დავდივარ და პროგრესი თანდათან შეინიშნება. გარდა იმისა, რომ უფრო დახვეწილი ხდება, იმატებს ახალი ბრენდების რაოდენობა, რაც ლუდის მოყვარულებისთვის მისაღებია.

**ხატია, ფესტივალის სტუმარი:**

– სიმართლე რომ გითხრათ, ლუდის დიდი მოყვარული არ ვარ. თუმცა, ერთ კათხას ხშირად სიამოვნებით ვსვამ. ასე იყო ამჯერადაც, ორივე დღეს ვიყავი ფესტივალზე და თითო კათხა დავაგემოვნე. უნდა ავღნიშნო, რომ აქ მარტო ლუდი არ არის საინტერესო – ორი კარგი საღამო ჩატარდა და მადლობა „ნატახტარს“.









# ირაკლი ალასანია: „ჯარს ვერავინ დაავალებს, საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი გუნდის წევრს მისცეს ხმა“

## „ჯარისკაცის კვებას ვეპყრობით ისე, როგორც ჩვენი შვილის კვებას“

ნათია ხურცილავა

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გუშინ „ღია მმართველობის“ ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. თუმცა, სანამ შეკითხვებს უპასუხებდა, მანამდე, მინისტრმა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე ისაუბრა.

თავდაცვის მინისტრმა საოკუპაციო ზოლთან არსებულ მდგომარეობაზე აღნიშნა, რომ ქართული მხარე ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებაზე თავშეკავებული რეაქციებით ბევრს იგებს.

მისი შეფასებით, სოფელ დიცთან ოკუპანტების მიერ ე.წ. საზღვრის გამაგრებითი სამუშაოები მიანიშნებს იმაზე, რომ ეს მოქმედებები ხელისუფლების ნებისყოფის გამოცდის გაგრძელებაა.

— არ გამიკვირდება, რომ ეს კიდევ განმეორდეს და გაგრძელდეს, მიუხედავად ჩვენი ცალმხრივი ნაბიჯებისა, ოკუპირებულ ზონაში მათი განწყობების კუთხით, არანაირი ცვლილება არაა. ჩვენ თავშეკავებული რეაქციებით ბევრს ვიგებთ, როგორც ნატოელ პარტნიორებთან, ისე საიმედო პარტნიორი ქვეყნის იმიჯის ამაღლების კუთხით. ამ ეტაპზე რუსეთის საოკუპაციო ძალების ნაბიჯები არ გვაძლევის იმის თქმის საფუძველს, რომ ფართომასშტაბიანი ესკალაცია იგეგმება. ეს ჩვენი მოწიფულობის, ნებისყოფის გამოცდაა და ამას გავუძლებთ. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რუსი სამხედროების მიერ ე.წ. საზღვრის გამაგრების სამუშაოების განახლება, საქართველოს მთავრობის ნებისყოფის გამოცდის გაგრძელებას წარმოადგენს და ამ გამოცდას ხელისუფლება აუცილებლად გაუძლებს.

— მიუხედავად ჩვენი ცალმხრივი ნაბიჯებისა, მათი განწყობის კუთხით, ოკუპაციის ზონაში არანარი ცვლილება არ შეინიშნება. ჩვენ ამ თავშეკავებული რეაქციებით ძალიან ბევრს ვიგებთ ნატოელ პარტნიორებთან, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის ამაღლების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ასეთი თავშეკავებული რეაქცია გვაქვს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ შეიარაღებული ძალები, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან. მინდა საზოგადოება დავაწყნარო, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ნაბიჯები არ გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ რაიმე სახის ესკალაცია ან ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია იგეგმება. ჩვენი სადაზვერვო სტრუქტურები მოვლენებს აკვირდებიან. ოკუპანტი ძალის ქმედება, ეს არის ჩვენი ნებისყოფის გამოცდა და ჩვენ ამ გამოცდას აუცილებლად გავუძლებთ. — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

როგორც ცნობილია, ოკუპანტებმა გუშინ დილიდან სოფელ დიცთან ე.წ. საზღვრის გამაგრების სამუშაოები განაახლეს.

ცნობილი გახდა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები თავდაცვის სამინისტროშიც აღმოაჩინეს, რომელიც შესაბამის საგამოძიებო უწყებებს გადაეცა და ალასანიასთვის უცნობია, ამ მომენტისათვის რა ეტაპზეა გამოძიება.

ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არ არის ის მასალები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოაჩინეს.

— ეს სხვადასხვა მასალაა, თუმცა რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, დამგეგმავები და განმახორციელებლები სავარაუდოდ ერთი ჯგუფია. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, ასევე სამხედრო პოლიციაში ფაქტობრივად ერთი ფიგურანტები იყვნენ, მიგრაცია იყო ერთი უწყებიდან მეორეში. გამოძიება რა ეტაპზეა, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ვინც კი სავარაუდო ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს ასეთ ქმედებებში, არც ერთი არ არის სამხედრო პოლიციაში. — განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ სამხედრო პოლიციამ თვისობრივად იცვალა სახე და მათი ფუნქცია სწორედ სამართალდარღვევების პრევენციაა შეირაღებულ ძალებში.

მისი განმარტებით, სამხედრო პოლიციას არანაირი პოლიტიკური, ან ზედმეტი ოპერატიული ფუნქცია არ გააჩნია.

მინისტრის ინფორმაციით სექტემბრიდან სამხედრო აკადემიაში სამხედრო პოლიციის კურსი გაიხსნება და ყველა სამხედრო პოლიციელი ვალდებული იქნება სამხედრო პოლიციის კურსი გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ გააგრძელებს საქმიანობას სამხედრო პოლიციაში. — აღნიშნა ალასანიამ. ჟურნალისტებმა ყველაზე მეტი კითხვა თავდაცვის მინისტრს, როგორც მოსალოდნელი იყო, აისაფის ოპერაციასთან დაკავშირებით დაუსვეს.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების უსაფრთხოებისთვის „ადამიანურად შესაძლებლის მაქსიმუმი გაკეთდა“.

— გუშინწინ დაბრუნდა ავღანეთიდან ბოლო მივლენილი დელეგაცია კაპანაძის ხელმძღვანელობით. შემოწმდა, თუ როგორ შესრულდა ის შეთანხმებები, რომლებიც მიღწეულ იქნა ერთი თვის წინ ჩემი ვიზიტისას ავღანეთში, როდესაც ნატო-ს სარდლობას შევხვდი. მე მომახსენეს, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო, უკვე შესრულებულია. ის ორი ბაზა, რომელიც უნდა დახურულიყო, დახურულია. ჩვენი ჯარისკაცები გადასული არიან სხვა დისლოკაციის ადგილას. ყველა საინჟინრო-თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც დაგეგმილი იყო, უკვე დასრულებულია და ბევრად უფრო ახალ უსაფრთხო გარემოში უწევთ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს საკუთარი მისიის შესრულება. ადამიანურად შესაძლებლის მაქსიმუმი გაკეთდა, რომ უზრუნველგვეყო არსებულ უსაფრთხოების ვითარებაში ჩვენი ჯარისკაცების მისიის უსაფრთხო წარმოება. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ასევე ისაუბრა სკანდალურ ვიდეორგოლზე, რომლის ავტორის დადგენაზეც გამოძიება მიმდინარეობს. ალასანიას განცხადებით, ის თალიბების სახელით ატვირთულ ვიდეოებთან დაკავშირებით გამოძიებას სერიოზულად აკვირდება და არ გამორიცხავს, მასში თავდაცვის სამინისტრო თავად ჩაერთოს.

— აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ნატოსთან ერთად გაანალიზებული იქნა ის ვიდეორგოლი, რომელიც ატვირთულ იქნა საქართველოში, რომელიც შეიცავდა მუქარას ჩვენი სახელმწიფოს და შეიარაღებული ძალების მიმართ. შეიძლება, ითქვას, რომ ამ მოვლენასა და თავდასხმებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. ასევე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენ, შეიარაღებული ძალები, თითოეული ჯარისკაცი და მე, როგორც მინისტრი, ძალიან სერიოზულად ვაკვირდებით ამ გამოძიების მიმდინარეობას. მე მქონდა არაერთხელ საუბარი და შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან. ჩვენ გვაიმედებენ, რომ უახლოეს პერიოდში პროგრესი იქნება ამ გამოძიებაში. ჩვენი ამოცანაა, ჩვენი სახელმწიფოს ღირსების საქმეა ყველა დეტალი, ამ ამორალური, სულმოკლე ადამიანების მიერ ჩადენილი დანაშაულის უნდა იყოს გამოძიებული და დადგენილი როგორც შემკვეთები, ასევე აღმსრულებლები და სამაგალითოდ დასჯილი. ეს არის ჩვენი ამოცანა, როგორც სახელმწიფოსი და შეიარაღებული ძალების. ჩვენ ველოდებით გამოძიების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი ოპერატიული-სადაზვერვო საშუალებებითაც ჩავერთოთ ამ გამოძიების წარმატებით დასრულებაში. — განაცხადა ალასანიამ.

ალასანიამ ასევე ისაუბრა სოჭის ოლიმპიადაზე საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღებაზე.

უახლოეს პერიოდში გაირკვევა, თუ რა ფორმით ითანამშრომლებს ქართული მხარე რუსეთის ხელისუფლებასთან სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

— საქართველოს ხელისუფლებამ, მათ შორის მე, არაერთხელ გამოვთქვი მზადყოფნა, რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის, რუსეთთან სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. ჩვენს ინტერესებში შედის, რომ ოლიმპიადამ მშვიდობიანად ჩაიაროს. რა ფორმით მოხდება რუსულ მხარესთან თანამშრომლობა — შუამავალი პირისა თუ სახელმწიფოს მეშვეობით, ეს უახლოეს მომავალში გადაწყდება. ამ საქმეში წამყვანი შს სამინისტროა და თავდაცის უწყება საჭიროების შემთხვევაში კონტრტერორისტულ ოპერაციას უზრუნველყოფს. — განაცხადა ალასანიამ.




თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება კვლავაც მზადაა, ითანამშრომლოს რეგიონის ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთანაც, რათა სოჭის ოლიმპიადამ მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოში ჩაიაროს.

— გვაქვს მზადყოფნა, ვითანამშრომლოთ რეგიონის ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთანაც, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. თავისთავად, ყველას ინტერესებშია, რომ ამ ოლიმპიადამ მაქსიმალურად მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩაიაროს. თუ რა ფორმით მოხდება ჩვენი ქვეყნის ჩართულობა, იქნება ეს ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი სახელმწიფოს შუამავლობით თუ სხვა სახით, ეს ჯერ გადასაწყვეტია. წამყვანი როლი შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება, მაგრამ მათთან ერთად, ჩვენი სპეციალური ოპერაციების ძალები იქნება ჩართული, რათა უზრუნველვყოთ კონტრტერორისტული ოპერაცია, იმ შემთხვევაში, თუკი ეს გახდება საჭირო. — აღნიშნავს თავდაცვის მინისტრი.

უკვე ცნობილია, რომ თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი ინიშნება.

როგორც ირაკლი ალასანიამ დღეს ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, დარჩიაშვილი, რომელიც აქამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში დესპანის თანამდებობაზე მუშაობდა, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ლევან დოლიძის საქმიანობას შეითავსებს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, დაიკავებს თუ არა ის პირველი მოადგილის პოსტს.



თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დარჩიაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანება პრემიერ-მინისტრს ხელმოსაწერად უკვე გადაეგზავნა.

როგორც ცნობილია, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლევან დოლიძე ნატოში საქართველოს ელჩად დაინიშნა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ის პირადად იქნება გარანტი იმისა, რომ „შეიარაღებულ ძალებს ვერავინ დაავალებს, საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი გუნდის წარმომადგენელს მისცეს ხმა“.

— არაერთხელ აღინიშნა, როგორც მთავრობის წევრების, ისე პრემიერის მხრიდან, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. მე ვიქნები გარანტი, რომ შეიარაღებული ძალები განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, მიმდინარე არჩევნებში აპოლიტიკური იქნება. შესაბამისი ინსტრუქცია ამასთან დაკავშირებით სამხედრო ხელმძღვანელობაზე უკვე გაცემულია და სამხედროებს ვერავინ დაავალებს, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლებს მისცენ ხმა. მიუკერძოებლობა გარანტირებული იქნება და რაიმე მსგავი დავალების მიცემის შეთხვევაში შესაბამისი პირი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიეცემა. — ამბობს ალასანია.

თავდაცის მინისტრმა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატზე ისაუბრა.

— გიორგი მარგველაშვილი ყველაზე ღირსეული საპრეზიდენტო კანდიდატია, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მე მას ვუჭერ მხარს, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ალასანია აცხადებს, რომ მარგველაშვილის გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად და სამაგალითოდ ჩატარებაა.

მინისტრის განცხადებით, ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში ქართველი სამხედროები საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით სამზადისი უკვე დაიწყო.

თავდაცვის მინისტრმა პროფესიულ ჯარზე გადასვლასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მისი განცხადებით პროფესიულ ჯარზე გადასვლა დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ როგორ განვითარდება ეკონომიკა.

— მიმდინარეობს სრული სამზადისი, რომ 2017 წლისთვის შეიარაღებული ძალები გადავიდნენ სრულად პროფესიულ ჯარზე. ამასთან დაკავშირებით ფინანსური გათვლები მიმდინარეობს. ჩვენ დამოკიდებული ვიქნებით, ბუნებრივია, იმაზეც, თუ როგორ განვითარდება ეკონომიკა, როგორი შემოსავლები ექნება ჩვენს ბიუჯეტს, რათა დაფინანსდეს ეს ტრანსფორმაციის გეგმა. აქედან გამომდინარე, ძალიან ახლოს ვთანამშრომლობთ ფინანსთა სამინისტროსთან. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ჯარის კვების სტანდარტზე ისაუბრა. „ჯარის კვებას ვექცევით ისევე, როგორც ჩვენი შვილის კვებით მომარაგებას“.

— ჩვენი შეიარაღებული ძალების კვებით უზრუნველყოფა არის უმთავრესი პრიორიტეტი ჩვენთვის. ჩვენ ვექცევით ჩვენი ჯარის კვლევას ისევე, როგორც ჩვენი ოჯახის, ჩვენი შვილის მომარაგებას კვებით. აქედან გამომდინარე, ჩვენმა გენერალურმა ინსპექციამ შემოწმება და კვლევა ჩაატარა შეიარაღებულ ძალებში და აშკარად გამოჩნდა, რომ ჯარისკაცებისთვის ეს იყო მიუღებელი. შესაბამისი გამოძიებაც დაიწყო და ჩვენ შევცვალეთ და ჯარი ისევ არანორმირებულ კვებაზე გადავიყვანეთ. დარწმუნებული ვარ, ის საკვები, რომლის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჯარისკაცებთან ერთად დავაგემოვნე, ბევრად და გაცილებით უკეთესია. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრი „ენდიაის“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევებსაც გამოეხმაურა, სადაც ქართული ჯარის რეიტინგი აწეულია.

— მეამაყება, რომ ჯარის რეიტინგმა საგრძნობლად აიწია და საზოგადოება ამხელა ნდობას გვიცხადებს. — ამბობს თავდაცვის მინისტრი.

ეს განცხადება ალასანიამ „ენდიაის“ კვლევის შეფასებისას გააკეთა, რომლის თანახმადაც, მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შეფასებისას, თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია ლიდერობს.

— პასუხისმგებლობა ყველას გაზიარებული გვაქვს და ეს ჩვენს ნაბიჯებზეც აისახება. ეს არის იმ ვაჟკაცების დამსახურება, ვინც ასე გმირულად იცავს საქართველოს და ჩვენი ხალხის მომავალს როგორც ავღანეთში, ისე საქართველოში. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ქართული სამხედრო ტექნიკის წარმოება შეწყდა.

ალასანიას განცხადებით, „თავდაცვის სამინისტროს სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ უსაფუძვლო პიარისგან გაიწმინდა და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სავარაუდოდ, ეს ფაქტი მოხვდა თვალში.

გაირკვა, რომ „დელტაში“ რამდენიმე პროექტზე მიდის მუშაობა, რომელიც ქვეითების პირადი უსაფრთხოების სისტემებს უკავშირდება, თუმცა ამის შესახებ კონკრეტულად მინისტრმა ვერ ისაუბრა, რადგან დოკუმენტს გრიფით საიდუმლო ადევს. რაც შეეხება „დელტაში“ ფინანსური შემოწმების პროცესს, ალასანიას თქმით, შემოწმება ჯერ არ დასრულებულა.

— სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუშაობს. ეს შრომატევადი საქმეა, ამიტომ ჯერჯერობით შედეგები არ გვაქვს. — აღნიშნა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მალიში ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში ქართველების მონაწილეობაზეც ისაუბრა. ირაკლი ალასანიას განცხადებით, მოლაპარაკებები დაწყებულია და ახლო მომავალში გაირკვევა, რა ფორმით ჩაერთვება საქართველო აღნიშნულ მისიაში.

— მალიში მოლაპარაკებები ევროკავშირის უსაფრთხოების სტრუქტურებთან უკვე დაწყებულია. რამდენიმე შეთანხმება გვაქვს ხელმოსაწერი. ეს ეხება საიდუმლოების გაცვლის რეჟიმს, რათა ჩვენს სამხედროებს იქ არსებული სტანდარტებით ოპერირების საშუალება ჰქონდეთ. ამიტომ, ჯერ ეს დოკუმენტებია მოსამზადებელი. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იმუშავებს ევროპული ბიუროკრატია. ჩვენ რამდენიმე ვარიანტი წარვუდგინეთ, განაღმვის ექსპერტი, შტაბში მეკავშირე ოფიცერი შევთავაზეთ. მოლაპარაკების დასრულებას ველოდებით, რის შემდეგაც ორმხრივ გადაწყვეტილებას მივიღებთ. — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, როგორი იქნება აისაფის შემდგომი მისიის ამოცანა, ოქტომბერში გახდება ცნობილი.

2014 წლის ბოლოს ქართული სამხედრო შენაერთები ავღანეთს სრულად დატოვებენ.

— რაც შეეხება მისიის კორექტირებას, ეს ალბათ, საქმეში ჩაუხედავი ადამიანების განცხადებაა, იმიტომ, რომ მისია უკვე განსაზღვრულია. მისიის შესრულებას ჩვენ ვაპირებთ ბოლომდე, როგორც პასუხისმგებლობით სავსე სახელმწიფო და შეიარაღებული ძალები. საქართველოს შეიარაღებული ძალები 2014 წლის ბოლოს სრულად დატოვებს ავღანეთს და ამის შემდეგ დაგეგმილ მისიაში უკვე სრულად, შინაარსობრივად ახალ მისიაში მივიღებთ მონაწილეობას. დეტალები მიმდინარე წლის ოქტომბერში იქნება განსაზღვრული. ოქტომბერში მინისტრებს, ნატო-ს სამხედრო სარდლობა გააცნობს ოპერატიულ გეგმას, სადაც საუბარი იქნება გამოყვანის ფაზებზე, ასევე იმაზე, თუ რა რაოდენობის ჯარი იქნება მობილიზებული 2014 წლის შემდეგ მისიაში და როგორი იქნება მისიის კონკრეტული ამოცანა. ვიცით, რომ ქართული კონტინგენტისთვის მისია არასაბრძოლო იქნება, უფრო დეტალურად ამ თემაზე საუბარი, ოქტომბრის მინისტერიალის შემდეგ შეგვეძლება. — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ჩვენს კითხვაზე — ნატოს 2014 წლის სამიტზე, როგორია საქართველოს შანსები? თავდაცვის მინისტრი პასუხობს:

— ფორმალურად არ არის გადაწყვეტილება მიღებული ეს იქნება თუ არა გაფართოების სამიტი. თუმცა, ის განცდა, რაც ჩვენ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაგვიტოვა, ის, რაც მათ საქართველოდან წაიღეს, ის, რომ მათ სრულფასოვან პარტნიორად მიაჩნიათ საქართველოს შეიარაღებული ძალები, ის შეფასებები, რომელიც მათ გააკეთეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის, გვაძლევს იმ ოპტიმიზმს, რის გამოც პრემიერ-მინისტრმაც და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებმაც აღვნიშნეთ, რომ შემდეგი სამიტი საქართველოსთვის ერთ-ერთი სოლიდური ნაბიჯის სამიტი იქნება. ჩვენ, განგებ არ ვარქმევთ სახელს თუ რა ფორმით იქნება პროგრესი აღნიშნული.

## ნინო გიორგობიანმა არასამთავრობოებს ქობულეთის პოლიციაში განვითარებულ მოვლენებზე ინფორმაცია მიაწოდა



ქობულეთში პოლიციის მიერ სამი ახალგაზრდის დაკავებასთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასამთავრობოებს, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდა და ქობულეთის პოლიციის განყოფილებაში მომხდარი ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა გააცნო. ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამი ახალგაზრდა პოლიციის წინააღმდეგობის გაწევისა და ხულიგნობისთვის, მიმდინარე წლის 25 მაისს დააკავეს. სასამართლომ ისინი 100-ლარიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები „ნიუსპრესთან“ საუბარში აცხადებენ, სამინისტროს მიერ წარმოდგენილ 40 წუთიან ვიდეომასალაზე ჩანს, თუ როგორ აყენებენ პოლიციელებს სიტყვიერ შეურაცხყოფას დაკავებული ახალგაზრდები და მათი მისამართით იგინებოდნენ.

ნიუსპრესი

## ფარული ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება ძალიან ჭიანურდება

გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორისა და ფარული კადრების განადგურებასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური კომისიის წევრის, ლაშა ტუღუშის განცხადებით, ფარული ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება ძალიან ჭიანურდება და ყოველ ჯერზე ახალი წინააღმდეგობები ჩნდება.

„როგორც ტუღუშმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ფარული ჩანაწერების ამსახველი დამატებით 5 000 ახალი ფაილი აღმოაჩინა.

„ორი დღის წინ გამართულ კომისიის სხდომაზე გახდა ცნობილი, რომ ბოლო ორი-სამი კვირის მანძილზე შსს-მ 5 ათასი ფაილი აღმოაჩინა. იყო 12 ათასზე მეტი, ახლა არის 17 ათასზე მეტი. ანუ თითქმის 5 ათასი ახალი ინფორმაცია გაჩნდა. აღმოჩენილი მასალები პოლიტიკური პარტიების, მათი ლიდერების, ოფისების, მოლაპარაკებების, შესაძლო საიდუმლო საუბრების და ფინანსურ აქტივობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოიცავს. თუ აცილებელი იყო ჰამერბერგის ჩართვა, ადრე გაკეთებულიყო, რადგან ძალიან ჭიანურდება გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და ყოველ ჯერზე ახალი წინააღმდეგობები ჩნდება. მე მესმის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალიან უჭირს ამ მასალების განადგურების გადაწყვეტილების მიღება", - დასძინა ტუღუშმა.

მისივე თქმით, სპეციალური კომისია საქართველოს მთავრობის მრჩევლის თომას ჰამერბერგის რეკომენდაციებს ელოდება, რომელსაც იურიდიული, სავალდებულო ძალა არ აქვს, თუმცა მისი ცოდნა მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. ჰამერბერგი რეკომენდაციას ერთ კვირაში წარადგენს.

ლაშა ტუღუშის მტკიცებით, პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო მასალების განადგურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ შეცვლილა.



მედიანიუსი

## სასულიერო პირების სასამართლო პროცესი 23 ივლისისთვის გადაიდო

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდებული სასულიერო პირების სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 23 ივლისისთვის გადაიდო.

მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილება ერთ-ერთი ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო მიიღო. სასამართლო პროცესი 23 ივლისს, 12:00 საათზე ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ 17 მაისის მოვლენებში მონაწილე ორ სასულიერო პირს – სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე და თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი 23 მაისს წაუყენეს. გამოძიება მათ სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფას, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლას გულისხმობს.

აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად გათვალისწინებულია ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე ვადით, თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სამ წლამდე ვადით.

მედიანიუსი

## საპრეზიდენტო კანდიდატთა სიას ორი ადამიანი მოაკლდა

ცესკოში დარეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატების რაოდენობა შეიცვალა. 11 ივლისის მონაცემთან შედარებით, კანდიდატების რაოდენობა ერთით შემცირებულია. დღევანდელი მონაცემებით ცესკოში საპრეზიდენტო არჩევნებში ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატია დარეგისტრირებული.

ცესკოს მონაცემებით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი: მიხეილ (გელა) სალუაშვილი, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი: ნესტან კირთაძე, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი მამუკა ჭოხონელიძე, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი ნიკოლოზ გორგიჯანიძე, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე. ეს უკანასკნელი კანდიდატად სამი დღის წინათ დარეგისტრირდა.

რამდენიმე დღის წინ, საპრეზიდენტო კანდიდატებად დარეგისტრირებულნი იყვნენ ასევე, საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი: ტარიელ ხვედელიძე და საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი გიორგი გახოკია. ისინი დღეს სიაში აღარ არიან. მათ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის გამო, ცესკომ საბოლოო რეგისტრაციაზე უარი უთხრა.

საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს არის ჩანიშნული.

მედიანიუსი

# ინოვაციური სერვისი და საოცნებო პრიზები „ბილაინის“ აბონენტებისთვის

**„ბილაინმა“ აბოენენტებს კიდევ ერთი სიურპრიზი გაუკეთა.ამიერიდან კომპანიის მომხმარებელი სამი ტიპის ფიქსირებულიმობილური მომსახურების პაკეტით – „ბილაინ მიქსით“ ისარგებლებს,რომელთა ღირებულება თვეში 10, 20 და 45 ლარი იქნება. გუშინვე, კომპანიამ აბონენტებისთვის საოცნებო პრიზები კიდევ ერთხელ გაათამაშა. ორი გამარჯვებული აბონენტი მ2-ში ოროთახიანი, გარემონტებული ბინის მფლობელი გახდა, სამმა აბონენტმა კი KIA SPORTAGE მოიგო.**

„ბილაინ მიქსი“ – ეს არის ყველაზე მარტივი ინოვაციური სერვისი. აღნიშნული მომსახურეების გააქტიურებით, მომხმარებელს არ დასჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რა თანხას იხდის შიდა ან გარე ქსელზე დარეკვის,sms-ის გაგზავნის ან მობილური ინტერნეტის სარგებლობისას.

მობილური მომსახურების პაკეტი – „ბილაინი მიქსი“ სამი ტიპისაა. ერთია – Beeline MIX S, რომლის გააქტიურებითაც, მომხმარებელს შეუძლია ერთი თვის განმავლობაში ისაუბროს 150წუთი, თანაც ნებისმიერი მობილური ქსელისა და ფიქსირებული ტელეფონის აბონენტებთან. ასევე, გააგზავნოს sms-ი ნებისმიერ ლოკალურ ოპერატორთან და ისარგებლოს 1500 მბ მობილური ინტერნეტით, თვეში 10 ლარად.

მეორე ტიპის მომსახურებაა – Beeline MIX M, სადაც შედის 250წუთი ნებისმიერ ქსელთან სასაუბროდ, 2500 sms და 2500 მბ ინტერნეტი, რომლის გააქტიურების ღირებულება, მხოლოდ, 20 ლარია.

Beeline MIX L-ის გააქტიურებით კი მომხმარებელი ერთი თვისგანმავლობაში 1000 წუთს მიიღებს, ასევე ისარგებლებს 10 000 sms-ითა, 100 გბ ინტერნეტით. Beeline MIX L-ის ღირებულება 45ლარია.

„ბილაინის“საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თეონა ბაღდავაძემ აღნიშნა, რომ პორტირების სერვისის პარალელურად, იმატა მოთხოვნამ ისეთ პროდუქტებზე, რომლის გამოყენების დროსაც აბონენტებს არ სჭირდებათ ზედმეტი ფიქრი იმაზე, თუ რომელი მობილური ოპერატორის აბონენტთან ახორციელებენ ზარს.

„ამ ფაქტიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, საქართველოში პირველებს შეგვეთავაზებინა აბონენტებისთვის მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკა, რაც გულისხმობს ერთიან და ფიქსირებულ სატარიფო პოლიტიკას როგორც ყველა ქსელის აბონენტთან, ისე ქალაქის ფიქსირებულ ნომრებთან. მოხარულები ვართ, რომ „ბილაინმა“მომხმარებელს კიდევ ერთხელ წარადგინა ინოვაციური პროდუქტი“, – ამბობს თეონა ბაღდავაძე.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ „ბილაინი“ იყო პირველი კომპანია, რომელმაც, მომხმარებელს შესთავაზა სატარიფო გეგმის მცნება და მისცა საშუალება საკუთარი მოთხოვნების მიხედვით მოეხდინა სატელეფონო დანახარჯების ოპტიმიზაცია.






თეონა ბაღდავაძის განმარტებით, სერვისი „ბილაინი მიქსი“ არის კიდევ უფრო პროგრესული მომსახურება, რომელიც აბონენტებს აძლევს საშუალებას, ზუსტად აკონტროლონ საკუთარი დანახარჯები და თანხა გადაიხადონ იმ მოცულობის მომსახურებაში, რაც მას რეალურად სჭირდება“.

„ქართულ ბაზარზე ეს შეთავაზება ნამდვილად ინოვაციურია. ამ პროდუქტის დანერგვა გადავწყვიტეთ იმის გამო, რომ პორტირებული აბონენტების რიცხვი გაიზარდა. ახალი სერვისიც სწორედ იმ აბონენტებისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც არ სურთ იფიქრონ, თურომელი ქსელის აბონენტებზე რეკავენ და რამდენჯერ. მათ ექნებათშესაძლებლობა, განახორციელონ ბევრი ზარი და გაუშვან სმს-ებინებისმიერი ქსელის მიმართულებით“, – ამბობს ბაღდავაძე.

ახალი, ინოვაციური სერვისის გარდა, „ბილაინმა“ აბონენტები საოცნებო საჩუქრებით კიდევ ერთხელ გაახარა. გუშინ, „ბილაინის“ ტრადიციულ გათამაშებაზე ორი აბონენტი ოროთახიანი, გარემონტებული ბინის მფლობელი გახდა. ბინები, თბილისის ცენტრში, საბურთალოს რაიონში მ2-ის საცხოვრებელ კომპლექსში მდებარეობს.

ასევე სამმა ბედნიერმა აბონენტმა, საოცნებო ავტომობილი KIA SPORTAGE მოიგო. გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა აბონენტს, რომელიც 12 ივლისამდე ბალანსს 3 ლარით შეავსებდა და 1 ბილეთს მიიღებდა. ხოლო აბონენტებმა, რომელიც „ბილაინზე“ გადმოპორტირდნენ გათამაშებისთვის 5 ბილეთი მიიღეს.

მაია კახიძე

# სავაჭრო ცენტრ „საბას“ მოვაჭრეები დახმარებას ითხოვენ

მერი ნამორაძე

გუშინ სავაჭრო ცენტ „საბას“ ხანძრის შედეგად დაზარალებულებმა კანცელარიის წინ აქცია განაახლეს. რამდენიმე კვირის წინ ანალოგიურ აქციაზე ისინი ფინანსთა სამინისტროს აკრიტიკებდნენ, უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ ასევე საგამოძიებო ორგანოებსაც და ხელისუფლებას დახმერებას სთხოვდნენ. ამჯერად აქციის მონაწილეები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ხანძრისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდნენ, კანცელარიასთან იმ ავეჯით იყვნენ მისულნი, რომლითაც ისინი „საბაში“ ვაჭრობდნენ. სახელმწიფო კანცელარიის წინ შეკრებილი 30-მდე დაზარალებული, მთავრობისგან მოითხოვდა პასუხს, 5-თვიანი ლოდინის შემდეგ დაეხმარებოდნენ თუ არა მათ.

„პასუხი გაგვცეს სახელწმიფომ, ყურადღება უნდა მოგვაქციოს. პასუხი გაგვცეს ყველა წერილზე. ასი წერილი მაინცაა გაგზავნილი. გვეხმარებიან თუ არა, ან კი, ან არა. მე-5 თვე მთავრდება, წერილზე პასუხი მაინც არ გვეკუთვნის?“ – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ბახტაძემ.

როგორც ჩანს, დაზარალებულთა მოლოდინი ხელისუფლების მიმართ გაცილებით დიდია, ვიდრე ხელისუფლებას შეუძლია მათი დახმარება. გუშინვე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საბაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულთა მოთხოვნებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ სამინისტრომ ყველა შესაძლებლობა გამოიყენა მათ დასახმარებლად.

„პირველის“ ინფორმაციით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით ფინანსთა სამინისტრომ კიდევ ერთხელ განმარტა, 15 ივლისს სავაჭრო სახლ „საბაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულთა მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომ ხანძრის შედეგად დაზარალებულ მეწარმეებს, ასევე მათი საინიციატივო ჯგუფის წევრებს არაერთხელ შეხვდნენ როგორც პირადად ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ასევე ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეასრულა მიცემული დაპირება და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გააკეთა ყველაფერი დაზარალებულთა დასახმარებლად. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, გაითვალისწინა რა შექმნილი ვითარება, გადაუვადა მათ წლიური დეკლარაციების წარდგენის ვადა. სამინისტროს შუამდგომლობით დაზარალებულებმა უსასყიდლოდ მიიღეს საკონტროლო-სალარო აპარატები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა პირადად გაუგზავნა თხოვნის წერილები ბანკების ხელმძღვანელებს, რათა მათ შექმნილი გარემოების არაორდინალურობის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაეხედათ ბანკებისადმი არსებული დავალიანების საკითხისათვის. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა დაზარალებულებს გაწეოდათ კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია, რისთვისაც მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და სთხოვა დაზარალებულთა უფლებების დაცვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, პირადად ფინანსთა მინისტრმა დაზარალებულებს შეხვედრისას არაერთხელ სთხოვა, არ მოეხდინათ საკითხის პოლიტიზება, მიემართათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რადგან აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთადერთი სწორი გზა არის მხოლოდ სამართლებრივი პროცედურების დაცვა. ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის არც ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენა და არც ზარალის ოდენობის განსაზღვრა – აღნიშნული მხოლოდ გამოძიების კომპეტენციაა, რომელმაც უნდა დაადგინოს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ზარალის ანაზღაურებაზე.

## სააკაშვილმა წულუკიანს მთავარი პროკურორის მოხსნა მოსთხოვა



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა ქვეყნის პირველი პირის, მიხეილ სააკაშვილის სახელით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს წერილით მიმართა.

წერილი 13 ივლისს გაიგზავნა და იუსტიციის სამინისტროში მისი მიღება დღეს დადასტურდა. ინფორმაცია „მედიანიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში დაუდასტრეს.

წერილში ბარნოვი პრეზიდენტის სახელით იუსტიციის მინისტრს სთხოვს, რომ მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მან პრეზიდენტს წინადადებით მიმართოს.

შეგახსენებთ, რომ მოქმედი კანონდებლობით მთავარი პროკურორის დანიშვნა და გათავისუფლება ხდება იუსტიციის მინისტრის წარდგინებითა და პრეზიდენტის დამტკიცებით.

მედიანიუსი

# საქართველოში შიდსით ყველაზე ხშირად ნარკომანები ავადდებიან

მერი ნამორაძე

**აივ ინფექცია-შიდსის გავრცელების მასშტაბები დღითიდღე იზრდება. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ინფორმაციით, მსოფლიოს სტატისტიკით, საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია. მეორე მხრივ, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 6000-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია.**

საქართველოში აივ ინფექცია-შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა. პირველი შოკი საზოგადოებაში და დისკრიმინაციული დამოკიდებულება დაავადებულების მიმართ განელდა. ანტირეტროვირუსული პრეპარატების ქვეყანაში შემოტანის შემდეგ, რომლითაც სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა მიეცათ პაციენტებს, საზოგადოების ნაწილი სერიოზულ პრობლემად აღარც აღიქვამს ამ დაავადებას. მაგრამ როცა პატარა ქვეყანაში ინფიცირებულთა რაოდენობა 6 ათასს აღწევს, საქმე სახუმაროდ აღარ არის.

რადგან შიდსი მიეკუთვნება იმ დაავადებებს, რომელთა განკურნება თანამედროვე სამედიცინო საშუალებებით შეუძლებელია, ამიტომ აივ ინფექცია-შიდსით დაავადების თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის სპეციფიკური საშუალება ვაქცინაა, მაგრამ აივ ინფექცია-შიდსის საწინააღმდეგო ეფექტიანი ვაქცინის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ამ მიმართულებით მსოფლიოს საკმაოდ დიდი ფინანსური და ინტელექტუალური პოტენციალია მიმართული და რამდენიმე ათეული ვაქცინა გადის აპრობაციას. შესაბამისად, აივ ინფექცია-შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი რადიკალური გზა შიდსის ყოვლისმომცველი პროფილაქტიკა რჩება. როგორც შიდსის ცენტრში ამბობენ, ამჟამად, შიდსის ყოვლისმომცველი პროფილაქტიკა დაფუძნებულია ნდობაზე, მოსახლეობასთან ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე და ფართო სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაზე, სამედიცინო დაწესებულებებში უსაფრთხოების ღონისძიებების გატარე-



ბაზე და უსაფრთხო სისხლის პრინციპების დაცვაზე. დღეისათვის საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკური ღონისძიებები ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: ბიოსამედიცინო (სამედიცინო მანიპულაციების უსაფრთხოება, დონორთა სისხლისა და ორგანოების ტესტირება, სტერილიზაცია დეზინფექციის პრინციპების დაცვა) და ქცევითი სფერო, რომელსაც მიეკუთვნება აივ ინფექცია-შიდსის გადაცემასთან დაკავშირებული სარისკო ქცევები. შიდსის ვირუსით დაინფიცირების სარისკო ქცევების მქონე ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან: ნარკომანები, მეძავები, ჰომოსექსუალები, ხშირი დაუცველი სქესობრივი კონტაქტების მქონე პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ აივ ინფექცია-შიდსის მხრივ არაკეთილსაიმდო ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი და სხვ. ) იძულებით ადგილნაცვალი პირები (ლტოლვილები), ჰემოფილიით ან სხვა დაავადებით სისხლის ხშირი რეციპიენტები. პირები, რომელთაც ჩაიტარეს სამედიცინო მანიპულაცია არასაკმარისად გასტერილებული სამედიცინო იარაღებით. რისკ ჯგუფს მიეკუთვნება გარკვეული პროფესიის სამედიცინო პერსონალი (ქირურგები, გინეკოლოგები, სისხლის ლაბორატორიის თანამშრომლები რომელთაც კონტაქტი აქვთ სისხლთან, ასევე ექთნები, რომლებიც ატარებენ სამედიცინო მანიპულაციებს და სხვ.) შიდსით ინფიცირების რისკი საკმაოდ მაღალია აივ ინფიცირებული ორსულის ნაყოფისთვის.

როგორც შიდსის ცენტრში ამბობენ, უკანასკნელ წლებში ქვეყანაში გამოვლენილი შემთხვევების დაახლოებით 45%-ში დიაგნოზი დაისვა დაავადების შორსწასულ სტადიაზე, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს დაავადების გამოსავალზე და ეპიდემიის მიმდინარეობაზე. აივ ინფექციის გადაცემის ძირითად გზას ნარკოტიკების ინექციური მოხმარება წარმოადგენს, მაგრამ სულ უფრო იზრდება სქესობრივი კონტაქტების როლი ინფექციის გადაცემაში.

რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულ პაციენტთა 54% დაინფიცირდა ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით, 39% - ჰეტერო-, ხოლო 4% - ჰომოსექსუალური კონტაქტის შედეგად. იზრდება აივ ინფიცირებულ ორსულ ქალთა რაოდენობაც.

დღეისათვის ანტირეტროვირუსული მკურნალობა უტარდება 1358 შიდსით დაავადებულ პაციენტს.


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# 19-წლამდელებს ბრძოლა სწყურიათ

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების ლატვიური შეკრება დასასრულს უახლოვდება და ფეხბურთელები უკვე ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დღეებს და საათებს ითვლიან.

14 ივლისის შემდეგ, ორჯერადი ვარჯიშები შეწყდა. გუშინ გუნდმა მხოლოდ საღამოს ივარჯიშა და დღეს დილის 11 საათზე გუნდი ბოლო ტესტ-მატჩს ითამაშებს რიგის „დაუგავასთან“ და ნაშუადღევს უკვე ლიტვაში გაემგზავრება.

საღამოს ვარჯიშებზე, ძირითადად, სათამაშო კომპონენტებისა და ტაქტიკური სქემების დახვეწა მიმდინარეობს. ფეხბურთელები მაქსიმალური კონცენტრაციით ცდილობენ, სათამაშო სიტუაციასთან მიახლოებული გარემო შექმნან და ბოლომდე იხარჯებიან.

ნიკა კაჭარავა:

– დატვირთვები უკვე აღარ გვაქვს და ძირითადად, ტექნიკურ და ტაქტიკურ კომპონენტებზე ვმუშაობთ. ეს ლოგიკურია, რადგან მალე პირველი თამაში გვიწევს. ჩვენი ვარჯიშები სულ ბურთთან ერთადაა. 16-ში ბოლო ტესტი გვექნება და ახლა, ამ თამაშისთვის ვემზადებით. ჩვენი შეტევა აგებულია გუნდურ თამაშზე. ფეხბურთი ინდივიდუალისტების თამაშიცაა და ჩვენც საკმაოდ გვყავს კარგი ინდივიდუალისტები, მაგრამ ეს ინდივიდუალიზმი ყოველთვის არ ჭრის და დამუშავებული გვაქვს კომბინაციები, რომელიც ჩვენს შეტევებს ეფექტურს ხდის და გვიადვილებს მეტოქის კარზე ზეწოლას. ვფიქრობ, ჩვენ გუნდური თამაშის ხარჯზე უნდა გავიდეთ ფონს. საფეხბურთოს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ნაკრებს ის უპირატესობაც აქვს, რომ დებიუტანტი და უცხო გუნდია. შესაბამისად, ცოტა ზემოდან გვიყურებენ. ასე იყო ელიტრაუნდშიც და ეს, საბოლოოდ, ჩვენი კოზირი აღმოჩნდა. თუმცა, ელიტრაუნდის მერე ბევრმა შეგვაფასა და დაგვაფასა. ევროპაზე სხვა კოზირები გვექნება. გუნდური თამაში და შეტევაა ჩვენი უპირატესობა და ამაში ძალიან დიდი რესურსი გვაქვს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩვენი ძალიან გამოცდილი და შეთამაშებული დაცვის ხაზი და განსაკუთრებით – მეკარე. ფანტასტიური გოლკიპერი გვყავს გაბი თებიძის სახით. გუნდში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია. ჩემი ამპლუის ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკან ამდენი საიმედო ადამიანი მეგულება და თანაგუნდელების იმედი მაქვს. კარგია თუ ევროპაში არ გვიცნობენ... ჰოდა, 20 ივლისს გაგვიცნობენ. ყველაზე საინტერესო ისაა, ვის უფრო მეტი ექნება სასაუბრო თამაშის შემდეგ. ჩვენ იმედიანად ვართ. დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს და ეს უკვე დავამტკიცეთ.

საქართველოს ნაკრებს ყველაზე ბოლოს 3 ფეხბურთელი შეუერთდა – ნიკა ჭანტურიასა და ნიკა სანდოხაძეს ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევდა თამაში. ამავე ტურნირზე, მხოლოდ რიგის „სკონტოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა ლაშა დვალი. მართალია, „სკონტო“ აგრძელებს მონაწილეობას, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის დვალი მაინც გაათავისუფლა.



ნიკა ჭანტურია:

– უპირველესად, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებთან ერთად ვარ. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ზედიზედ მეორედ ევროპის ჩემპიონატზე თამაში. საქმეს მაქსიმალური სერიოზულობით მოვეკიდებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წარმატებით ვიასპარეზოთ და ევროპის ლიგაზე მიღებული გამოცდილება ნაკრების სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ამასთან, უკვე აღვნიშნე, რომ ჩემთვის და ლაშა დვალისთვის ეს მეორე ევროპის ჩემპიონატია. პირველი გამოცდილება, როგორც ყველამ იცის, შარშან, 17-წლამდე ნაკრებში მივიღეთ. თუმცა, ვფიქრობ, ამ ასაკში უკვე სხვა ფეხბურთია, სხვა დონეა... იმედია, შარშანდელი გამოცდილება მაინც დაგვეხმარება. საფრანგეთთან შარშანაც ვითამაშეთ და ის ნაკრები ფიზიკურად ყველაზე ძლიერი გუნდი იყო, ვისთანაც კი ოდესმე გვითამაშია. როგორც ასეთი, მათი 19-წლამდე ნაკრების შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ კონკრეტულ ფეხბურთელებზე წარმოდგენაც მაქვს და ინფორმაციაც.

ნიკა სანდოხაძე:

– უკვე მთლიანად სანაკრებო სამზადისზე გადმოვერთე. კლუბი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სერიოზული თამაშიც გვქონდა სლოვაკეთში, თუმცა, ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ. წინ ძალიან რთული სამი თამაში გველის. ჩვენ ჯგუფური ეტაპის წარმატებით გავლას და მინიმუმ ნახევარფინალში გასვლას ვგეგმავთ. ეს მართლაც რომ დიდი სამუშაოა... და ამ დარჩენილ ერთ კვირაში, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რომ ძალიან მაგრად მომზადებულები შევხვდეთ პირველ თამაშს. ძალიან მიხარია, რომ უკვე ნაკრებთან ერთად ვარ და მზადებას სრული შემადგენლობით შევუდექით. ვფიქრობ, საერთაშორისო დონეზე ჩემი გამოცდილება ამ ჩემპიონატზე აუცილებლად გამომადგება, რადგან ფეხბურთელს რაც უფრო მეტი თამაში აქვს მაღალ დონეზე ჩატარებული, ეს უფრო მეტს და მეტს მატებს მას. ალბათ, ჯგუფის ფავორიტად ყველა ფრანგებს მიიჩნევს – მათი სახელიდან და თუნდაც, საფეხბურთო ჩემპიონატიდან გამომდინარე... ძალიან მნიშვნელოვანია პირველი თამაშის შედეგი. ამიტომ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს. პირდაპირ ვიტყვი – საქართველოს 19-წლამდე ნაკრების ყველას უნდა ეშინოდეს! ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ გუნდი ვართ და არავის არ ვუფრთხით. შეგვწევს იმის ძალა, რომ ყველა გრანდი დავამარცხოთ. ამიტომ, პირველ რიგში, ფრანგები უნდა დაფიქრდნენ, რადგან პირველი თამაში ჩვენთან აქვთ. მე კარგად ვიცი ჩემი თანაგუნდელების შესაძლებლობები და რაც ვთქვი, მხოლოდ რეალობას ემყარება.

ლაშა დვალი:

– რაც ევროპაზე გავედით, იმ დღიდან ვფიქრობ, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად და უპირველესად, საფრანგეთზე, რადგან, ჩემი აზრით, პირველი თამაში გადამწყვეტია. რთული იქნება, მაგრამ ნახევარფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ. გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს. უფროსებთან თამაშისას, გამძლეობაც უფრო მეტი გჭირდება და სისწრაფეებიც სხვაა, ვიდრე პატარა ასაკში. ისევ იმ დამატებით 30 წუთს გავიხსენებ, რომელმაც ასე დამღალა. მაგრამ სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატზე თუ მოხდა და დამატებითი დროის წინაშე დავდექით, მე გამოცდილება უკვე მაქვს – ეგ პრობლემა არ იქნება. ამასთან, თავდაჯერებულობაც მომემატა და ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარება. ასე რომ, ახლა დიდი მოლოდინი მაქვს მეც და ბიჭებსაც, ყველას – მალე მოვიდეს 20 ივლისი და ჩვენი სათქმელი თამაშით ვთქვათ.

# უსტიაშვილის ნაკრები დასარჩენად იბრძვის

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში ყველა მარცხი განიცადა და ახლა ელიტაში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა.

გერმანელებთან სადებიუტო მატჩში წაგების შემდეგ დღეს დავით უსტიაშვილის გუნდმა ლიტვასთან ვერაფერი გააწყო და დიდი სხვაობით – 49:107 დამარცხდა.

საერთოდ არ წაუვიდა თამაში გერმანიასთან მატჩში ქართველთა ბომბარდირ ირაკლი მიქელაძეს. მწვრთნელმა ის მხოლოდ 15 წუთი ათამაშა, რა დროშიც ირაკლიმ 4 ორქულიანი და 3 სამიანი ააცილა. ქართველთაგან 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ოთო ფხაკაძემ დაძლია, რომელმაც 34 წუთში 15 ქულა დააგროვა.

პირველი მეოთხედი ლიტველებმა 33:12 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის მატჩის ბედი უკვე გარკვეული იყო – 63:30 ბალტიისპირელთა სასარგებლოდ. ლიტველები საშუალო დისტანციიდანაც შედეგიანად ესროდნენ, თუმცა სამქულიანი დისტანციიდან ქართველების კალათი შემუსრეს. 28 ცდიდან ლიტველებმა 14 სამიანი ჩააგდეს.

ბალტიისპირელებს მარტინას პალიუკენასმა ულიდერა, რომელმაც 18 წუთში 20 ქულა ჩააგდო. ლიტველთაგან 27 წუთზე მეტი არავის უთამაშია – მწვრთნელმა თითქმის ყველა მოთამაშეს მისცა შანსი და ლიტველებმაც თავი გამოიჩინეს.

ერთადერთი თამაში, სადაც საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე შეძლებისდაგვარად „იომა“ ბერძნებთან ჯახი იყო, რომელიც „მხოლოდ“ 14 ქულით დათმეს – 61:75.

საბერძნეთს საქართველომდე სერბეთი და გერმანია ჰყავდა დამარცხებული და 2 წაგების მქონე ქართველებთან უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა თამაში კარგად დაიწყო და მესამე მეოთხედამდე მეტოქეს ჯაბნიდა. შესანიშნავად თამაშობდა გიორგი ცირეკიძე, რომელიც საკმაოდ ტანმაღალია, თუმცა კარგად დაყენებული სროლის ხარჯზე მეტოქეს პერიმეტრიდან პრობლემებს უქმნიდა.

ცირეკიძემ საბოლოოდ 21 ქულა მოაგროვა და მატჩის ბომბარდირი გახდა. მან 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო, რასაც 6-დან 3 ორიანი და 4-დან 3 საჯარიმო მოაყოლა. მას მხარს კარგად უბამდნენ უკანახაზელები – ირაკლი მიქელაძე და ოთარ ფხაკაძე, შედეგად კი საქართველომ პირველი მეოთხედი 21:17 მოიგო, ხოლო მეორე მეოთხედის შუაწელში 9 ქულითაც დაწინაურდა – 35:26. 9-ქულიანი სხვაობა (40:31) იყო ტაიმის დასრულებამდე 2,42 წუთით ადრეც, თუმცა ქართველებმა სოლიდური ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს და დიდი შესვენებისთვის უსტიაშვილის გუნდი კვლავ 4 ქულას იგებდა – 41:37.

მესამე მეოთხედი ქართველებმა ჩააგდეს და მატჩიც ამის გამო წააგეს. ბერძნებმა 10-წუთეული 27:11 მოიგეს და ქულების უმეტესობა შორი სროლებით მოაგროვეს. ქართველებმა ვერ მოახერხეს პერიმეტრის საიმედოდ გადაკეტვა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ ბერძნები 12 ქულით დაწინაურდნენ. ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრებმა კი მოახერხა ბერძნების მიძალების შეჩერება, თუმცა ჩამორჩენის გაბათილება ვეღარ შეძლო და ჯგუფში მე-3 მარცხი განიცადა.

ჯგუფის ბოლო მატჩში ჩვენების მეტოქე, ასევე მედლებზე ხელჩაქნეული სერბები იყვნენ, მაგრამ ვერც აუტსაიდერებთან გააწყვეს ვერაფერი.

სერბებმა პირველი მეოთხედი 21:16 მოიგეს, მეორე მეოთხედში კი ლიდერობა გაიმყარეს და დიდ შესვენებაზე 17-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 48:31. მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. სერბებმა მატჩი ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს და საბოლოოდ 89:52 იმარჯვეს.

ქართველთაგან 10-ქულიან ზღვარს ვერავინ მიაღწია. სამმა კალათბურთელმა კი 8-8 ქულა შეაგროვა – ნიკა რამიშვილმა, შოთა გელაზონიამ და ლერი კვანტალიანმა. ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ბერძნებმა დაძაბულ ბრძოლაში – 77:74 დაამარცხეს ლიტვა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამ 2 გუნდთან ერთად ჯგუფიდან გერმანია გავიდა.

მიმდინარე ევროპის პირველობაზე სისტემა შემდეგნაირი გახლდათ: ჯგუფებში 1,2 და 3 ადგილებზე გასული გუნდები ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ, ჯგუფებში ჩარჩენილი – მთლიანობაში 8 გუნდი კი ა დივიზიონში დასარჩენად იბრძოლებს.

საქართველოსთან ერთად საკვალიფიკაციო „ჰ“ ჯგუფში ბულგარეთი, ესტონეთი და შვედეთი მოხვდნენ. შესაბამისად, 15, 16 და 17 ივლისს საქართველო ამ გუნდებთან თითო მატჩს გამართავს. თუკი უსტიაშვილის გუნდი საკვალიფიკაციო ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდში მოხვდა, ელიტარულ დივიზიონში დარჩენა გარანტირებული ექნება და პარალელურ, საკვალიფიკაციო „ჯ“ ჯგუფის წარმომადგენლებთან 13-16 ადგილებს გაინაწილებს. ხოლო თუ ჯგუფში მე-3, ან მე-4 ადგილი დაიკავა, „ჯ“ ჯგუფის 3-4 ადგილოსნებთან 17-20 ადგილებს გაითამაშებს. ამ 4 უიღბლო გუნდიდან მხოლოდ საუკეთესო, ანუ მე-17 ადგილზე გასული გუნდი დარჩება ა დივიზიონში, ხოლო უკანასკნელი 3ბ დივიზიონში გავარდება.

ასეთ კრიტიკულ დროს საქართველოს ნაკრებმა უდიდესი დანაკლისი განიცადა. ტვინის შერყევის გამო დარჩენილ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, საბერძნეთთან მატჩში 21 ქულის მიმთვლელი გიორგი ცირეკიძე.

– სამწუხაროდ, კიდევ ერთი დანაკლისი გვაქვს და ამას დამატებული, კიდევ ერთ კალათბურთელს ნატკენი ფეხით მოუწევს თამაში. გიორგი ცირეკიძემ საბერძნეთთან მატჩში ტრავმა მიიღო. იატაკს თავი დაარტყა, თუმცა თავიდან სერიოზული არაფერი ჩანდა, მაგრამ მომდევნო მატჩში, სერბეთთან შეუძლოდ გახდა და პირველი მეოთხედის შემდეგ მოედნიდან გამოვიყვანეთ. გუშინ ექიმებმა გამოკვლევა ჩაუტარეს და ტვინის შერყევა აღმოაჩნდა. ცირეკიძე დარჩენილ მატჩებში ვერ დაგვეხმარება. ქუსლი აქვს დაზიანებული კიდევ ერთ ტანმაღალ კალათბურთელ ლერი კვანტალიანს, რომელიც მოედანზე კი გავა, მაგრამ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვერ იქნება, – აცხადებს ნაკრების მენეჯერი გია სანაძე.

# ფიზკულტურ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ პასუხი სკ „დინამოს“

გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ განცხადება, სადაც ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ გაგზავნილ წერილს საჯაროდ პასუხობდა. ფსკ „დინამოს“ მხრიდან პასუხის პასუხმაც არ დააგვიანა და ინტერნეტ სივრცეში მორიგი წერილი გამოქვეყნდა.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამო“-ს პასუხი სკ „დინამო თბილისის“ განცხადებაზე.

მიმდინარე წლის 10 ივლისს საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისის“ ვებგვერდზე და შემდეგ ქართულ მედიაში გამოქვეყნდა განცხადება სათაურით: „ვიღაცებს ხელის მოთბობა უნდათ!“. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ რეაგირების გარეშე ვერ დატოვებს აღნიშნულ განცხადებას და გულისტკივილს გამოხატავს „დინამო თბილისის“ ასეთი ხისტი, ცილისმწამებლური და არაკოლეგიალური დამოკიდებულების მიმართ. შევეცდებით ყველა თქვენ მიერ დასმულ საკითხს ვუპასუხოთ თანმიმდევრულად.

სტატიის დასაწყისშივე ავტორი უთითებს ფსკ „დინამო“-ს მიერ გაგზავნილ წერილზე, რომელიც მთელი თავისი არსით არის მოწოდება ურთიერთთანამშრომლობისკენ, კომპრომისების გზების გამოძებნისკენ, კონსესუსისკენ. საფეხბურთო კლუბი კი ცდილობს საპირისპირო წარმოაჩინოს. საკმაოდ წარმომადგენლობითი ხელმოწერებით შესრულებული წერილი არ წარმოადგენს იმ ტიპის მიმართვას, რომელმაც საგანგაშო და სარეზონანსო რეაქცია უნდა გამოიწვიოს. პირიქით, კლუბი „დინამო“ დარწმუნებული იყო, რომ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან წამოვიდოდა შემხვედრი წინადადება შეხვედრასა და წერილში დასმული საკითხების განხილვის მზადყოფნაზე. რა შედეგებით დამთავრდებოდა მოლაპარაკებები ეს სხვა საკითხი იქნებოდა. მთავარი იყო, რომ ორივე მხრიდან დაფიქსირებულიყო ქართული სპორტის ფეხზე დაყენების და აღორძინების სურვილი. სამწუხაროდ, ამ საკითხის მიმართ „დინამო თბილისის“ დამოკიდებულებაში ფსკ „დინამო“ შეცდა.

საფეხბურთო კლუბის მესვეურებმა იმის მაგივრად, რომ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ ვეტერან სპორტსმენთა ხელმოწერებით გაგზავნილ წერილზე, საჯაროდ გადავიდნენ თავის მართლების რეჟიმში.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს ფსკ „დინამომ“ სარჩელი აღძრა „დინამო თბილისის“ წინააღმდეგ, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ეტაპზე მხოლოდ დიღმის საწვრთნელი ბაზის გასხვისების შეზღუდვა დადგინდა სასამართლოს მხრიდან და ეს გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ სადავო ქონების საკითხის საბოლოოდ გარკვევის უზრუნველსაყოფად. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ღონისძიება არამც და არამც ხელს არ უშლის „დინამო თბილისის“ ახლად გახსნილი ბავშვთა აკადემიის და სხვა სტრუქტურული ერთეულების ნორმალურ ფუნქციონირებას, არც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას. როგორც განცხადებშია აღნიშნული „დინამო თბილისისთვის“ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მომტანი აღმოჩნდა, მაშინ, როცა 2011 წელს დიღმის საწვრთნელი ბაზის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და „დინამო თბილისში“ ფსკ „დინამოს“ 10 პროცენტიანი წილის გასხვისება არარეალურად დაბალ ფასებში განხორციელდა და როგორც გარიგების მხარემ, ამგვარი არაადეკვატური გარიგების გაფორმებისას გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა.

რაც შეეხება იურიდიულ საკითხებში ნაკლებად ინფორმირებულობას, აქაც ფსკ „დინამო“ ვერ დაეთანხმება სტატიის ავტორებს, იმდენად, რამდენადაც ორივე მხარე კარგად აცნობიერებდა ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილ საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკურ სიტუაციას, უშუალოდ ჰქონდათ შეხება სახელმწიფო სტრუქტურებთან და თუ ერთის მიმართ სახელმწიფო ანდა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები განსაკუთრებული ლოიალობით გამოირჩეოდნენ, ეს ყოველივე მეორე მხარის კანონიერი ინტერესების შელახვის ხარჯზე ხდებოდა, რისი მაგალითიც პირადად ფსკ „დინამოა“ და დილეტანტისთვისაც ადვილი გასაგებია ის ფაქტი, რომ, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების მესვეურთა წყალობით შეძელით კაპიკებში შეგეძინათ სადავო ობიექტები, მაშინ დოკუმენტების სამართლებრივად გამართვაც არ გაგიჭირდებოდათ.

წერილში აღნიშულია თუ რა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო „დინამო თბილისი“ წლების განმავლობაში. ქართველმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით სპორტსმენთა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ფიზკუტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“, სამწუხაროდ, როგორც წარსულ, ისე აწმყო დროში, უხდება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე საუბარი. არადა, იგი ქრთული სპორტის რეალური ფლაგმანია და თუ არ არის, უნდა იყოს.

სტატიის ბოლოს გამოთქმულია გაკვირვება კლუბი „დინამოს“ არამეგობრული და გაუგებარი ქმედების გამო. იგივე გაკვირვებას გამოთქვამს ფსკ „დინამო“ და მისთვის გაუგებარია, ნუთუ ამ წლების ან თუნდაც ბოლო თვეების განმავლობაში არ შეიძლებოდა ოდნავი ინტერესის გამოჩენა კლუბის მიმართ, მაგრამ როგორც ჩანს, საფეხბურთო კლუბმა „მისაღები მიიღო“ და სხვა მისი საზრუნავი და გულთან ახლოს მისატანი არ აღმოჩნდა. თუ საუბრობთ მეგობრობაზე, ბატონებო, დავძენთ, რომ ჩვენი წერილით სწორედ ეგ შემოგთავაზეთ, მაგრამ თქვენი რეაქცია ამ შემოთავაზებაზე საზოგადოებამ ნახა. ჯერ თვითონ უნდა იყო მეგობარი, სხვისგან ეს რომ მოითხოვო, თქვენ კი ეს არც შეგიძლიათ და არც გაქვთ სურვილი, ამიტომ ზოგადად ეს თქვენგან გასაკვირი არაა.

პ.ს. თქვენ მიერ ანალოგიური ტიპის ჩანართზე კი, რომელიც ღვაწლმოსილ ფეხბურთელებს ეხება, თავს უფლებას მივცემთ და საერთოდ უკომენტაროდ დავტოვებთ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო-ვოლგა | 2:2 |
| ანჟი-ლოკომოტივი | 2:2 |
| ყუბანი-რუბინი | 1:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ლოზანა | 2:0 |
| ციურიხი-თუნი | 3:2 |
| სტ.გალენი-გრასჰოპერსი | 0:2 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| კარპატი-ვორსკლა | 0:2 |
| შახტარი-ჰოვერლა | 2:0 |
| დინამო-ვოლინი | 1:1 |
| სევასტოპოლი-ჩერნომორეცი | 1:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გეფლე-ნორჩიოპინგი | 2:2 |
| მიალბი-დიურგარდენი | 2:0 |
| მალმიო-ატვიდაბერგი | 4:0 |
| სირიანსკა-აიკი | 1:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ალესუნდი | 1:2 |
| ულფი-სტრომგოდსეტი | 2:1 |
| სარპსბორგი-ლილესტრიომი | 0:1 |
| ტრომსო-სონგდალი | 2:2 |
| რუსენბორგი-ოდ გრელანდი | 3:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-როვანიემი | 0:0 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 1:4 |
| მიუპა-ტპს | 2:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სლიგო-სტ.პატრიკი | 1:1 |
| უკ დუბლინი-დროჰედა | 2:2 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-ჩიკაგო | 3:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ვიტორია-სან პაულუ | 3:2 |
| გრემიო-ბოტაფოგო | 2:1 |
| კორინთიანსი-ატლეტიკო(მ) | |
| კურიტიბა-ატლეტიკო(პ) | |
| ვასკუ-ფლამენგო | 0:1 |
| კრისიუმა-გოიასი | 0:0 |
| კრუზეირო-ნაუტიკუ | 3:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ევროკავშირმა საქართველოს მილიონი ევრო გამოუყო

ეკა ირემაშვილი

ევროკავშირი საქართველოს მხარს უჭერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, სწორედ ამ მიზეზით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციონალური განვითარებისთვის ევროკავშირმა 1 მილიონი ევრო გამოყო. ევროკავშირი, საჯარო სამსახურების დაძმობილების ტვინინგის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად საქართველოში ახალ პროექტს იწყებს. ტვინინგის პროექტის ოფიციალური გახსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შედგა. ტვინინგის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, საქართველოსი ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი, იტალიის ელჩი ფედერიკა ფავი და დანიის სამეფოს საპატიო კონსული ესბენ ემბორგი.

— საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციონალური განვითარებისთვის ევროკავშირმა 1 მილიონი ევრო გამოყო. პროგრამა მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას და საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვას. 18 თვის განმავლობაში, იტალიის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო, დანიის კულტურის სააგენტოსთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სამ ძირითად მიმართულებაზე იმუშავებს: ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებისა და მართვის ეფექტური მოდელის შემუშავება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება, — განაცხადა კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა.

პროექტი საჯარო სამსახურების დაძმობილების — „ტვინინგის“ ფორმატით ხორციელდება. პროექტი გამოცდილების გაზიარების და ევროკავშირის სტანდარტებთან კანონმდებლობისა და რეგულაციების ჰარმონიზაციის მიზნით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სტრუქტურებს და საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციებს აკავშირებს.

— დაძმობილება — „ტვინინგი“ 2003 წლიდან ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ საბჭოთა ქვეყნების ნაწილსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებზე. დაძმობილება — „ტვინინგი“ ევროკომიიის ინიციატივაა, რომელიც კანდიდატი ქვეყნების, საჭირო უნარების განვითარების, გამოცდილების მიღების და ევროკავშირის კანონმდებლობის დანერგვისა და აღსრულების დახმარებისთვის შეიქმნა. დაძმობილების — „ტვინინგის“ პროექტები აკავშირებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო სექტორს, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ამ პროექტებმა ბენეფიციარი ქვეყნისთვის კონკრეტული შედეგები უნდა გამოიღოს, ამ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, — განმარტა კულტურის მინისტრის მოადგილემ.



კულტურული მემკვიდრეობის მართვის კონცეფციას გასულ კვირას საგანგებო შეხვედრა მიეძღვნა კულტურის სამინისტროში, რომელიც იკომოს-საქართველომ წარმოადგინა. კონცეფციის მიხედვით, კულტურის ძეგლების მოვლაზე მუნიციპალიტეტები იზრუნებენ, რაც ძეგლების უკეთ დაცვას უზრუნველყოფს.

— კონცეფციის შექმნის მიზეზები სრულად აღუნუსხავი ისტორიული ძეგლები, კულტურის აღნუსხულ ძეგლებს შორის ტიპოლოგიური და რეგიონული დისბალანსი, ეროვნული უმცირესობების ძეგლებისადმი უყურადღებობა, ადგილზე ძეგლების მოუვლელობაა — განმარტა იკომოს-საქართველოს გენერალურმა მდივანმა ნატო ცინცაბაძემ.

კულტურული მემკვიდრეობის მართვის კონცეფცია იკომოს-საქართველომ თავად შეიმუშავა. იკომოსი — კულტურულ ძეგლთა საერთაშორისო საბჭო — საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ძეგლთა დაცვის მეთოდებზე მუშაობს. მასში გაწევრიანებულია დარგის სპეციალისტები მსოფლიოს მასშტაბით, რომელთა შენიშვნებსა და რეკომენდაციებს გაეროს კულტურისა და განათლების ორგანიზაცია იუნესკო ითვალისწინებს.

— როგორც მოგეხსენებათ, კულტურული მემკვიდრეობის მართვის კონცეფცია კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ნაწილია. მას კულტურის სამინისტრო ახორციელებს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პოლიტიკას ამუშავებს. კულტურული მემკვიდრეობის მართვის კონცეფცია თვითმმართველობებისთვის უფლებების დელეგირების საკითხში დეცენტრალიზების სახელმწიფო პოლიტიკას კვეთს. აღნიშნული პრეზენტაცია მხოლოდ იდეაა და 2013 წლის ოქტომბერში სამუშაო დოკუმენტი შეიქმნება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება იმ სამინისტროების შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დეცენტრალიზაციის პროცესში მონაწილე მხარეები არიან. კონცეფცია ევროკავშირის აღმოსავლეთ თანამშრომლობის კულტურული პროგრამის ფარგლებში მუშავდება. ჩვენს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში 6.803 ძეგლია თავმოყრილი. სამწუხაროდ, კიდევ ბევრი ძეგლია აღუნუსხავი და საჭიროა მათი დამატება. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში კულტურის ძეგლთა ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული. არანაკლებ საყურადღებოა აღნუსხული ძეგლების რეგიონებს შორის არაპროპორციულ გადანაწილებაზე. ყველაზე მეტი ძეგლი თბილისშია აღნუსხული — 1753. თბილისის შემდეგ მეორე ადგილზეა კახეთი — 849 ძეგლით, შემდეგ სამცხე-ჯავახეთი — 715 ძეგლით, შიდა ქართლი — 617 ძეგლით, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 633 ძეგლით, იმერეთი — 591 ძეგლით, მცხეთა-მთიანეთი — 501 ძეგლით, ქვემო ქართლი — 458 ძეგლით, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი — 383 ძეგლით, აჭარა — 159 ძეგლით, გურია — 34 ძეგლი და აფხაზეთი — 71 ძეგლი. ამ საკითხში დისპროპორციაა ტოპოლოგიური თვალსაზრისით. 6.803 ძეგლიდან 2.732 საცხოვრებელი-მემორიალური ძეგლებია, საკულტო და კომპლექსის სტატუსის მქონე ძეგლი კი 2.485-ია. დანარჩენი ძეგლები სამოქალაქო, ურბანული, კლდეში ნაკვეთი, არქეოლოგიური ნანგრევები, საინჟინრო, საბაღო-საპარკო, საფორტიფიკაციო, მცირე არქიტექტურული ფორმები, ნასოფლარი, სასოფლო-სამეურნეო, პრეისტორიული, სამრეწველო-სამეცნიერო ტიპისები არიან, — ამბობს ნატო ცინცაბაძე.

მისივე თქმით, ძეგლთა დაცვის ეროვნულ გეგმაში სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნული უმცირესობების შექმნილ მატერიალური კულტურის ძეგლებს.

— ამის მაგალითია ბოლნისის რაიონში გერმანელების მიერ XIX საუკუნეში შექმნილი დასახლება, რომელსაც ამ ბოლო პერიოდში მიექცა ყურადღება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა გაგრძელდეს ეროვნული უმცირესობების კულტურის ძეგლთა აღნუსხვა და შენარჩუნება, — განმარტავს იკომოს საქართველოს ხელმძღვანელი.

პრეზენტაციაზე მოყვანილ იქნა ნორვეგიის მაგალითი. ნატო ცინცაბაძის განცხადებით:

— ნორვეგიაში, რომელსაც აქვს XII საუკუნეში ხით ნაგები ეკლესიები, მათ გვერდით იცავენ გვიანდელ, XX საუკუნის ძეგლებსაც. მაგალითად, ნახშირის გადამზიდავი საბაგირო ხაზი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება და ტელეგრაფის გადამცემი ხაზი ოსლოდან ბერგენამდე. ამგვარი მეთოდით ისტორიის განვითარების ეტაპები ასახულია, — ამბობს ნატო ცინცაბაძე.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა:

— ამ ძეგლებიდან უმეტესობა შუა საუკუნეების ძეგლებია. განსაკუთრებული ყურადღება შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლებზეა გამახვილებული. ბოლო პერიოდის გაფართოება კულტურული მემკვიდრეობის ცნებისა უკვე სახეზეა მთელ მსოფლიოში. კლასიკური მონუმენტებიდან ყურადღება გადასულია ხალხური, ინდუსტრიული, სამეცნიერო მემკვიდრეობის დაცვისკენ, შესაბამისად, სილამაზის დაცვიდან ისტორიის განვითარების ეტაპების წარმომადგენლობითობის დაცვაზე. ეს მომენტი ძალიან სერიოზულად პრობლემურია ქართული მემკვიდრეობის ეროვნულ პოლიტიკაში. პრობლემაა ძეგლების ადგილზე დაცვასთან დაკავშირებითაც. მაგალითად, რეგიონული სტატუსის მქონე ჭობისხევის კომპლექსი ბორჯომიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს, სადაც დაწყებული პრეისტორიული პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე განვითარების უწყვეტი ხაზია შენარჩუნებული. ძეგლის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი კი უცნობია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არის ის ორგანო, რომელსაც კულტურის სამინისტროსგან გადაცემული აქვს უძრავი და მოძრავი ძეგლების ზრუნვა და პოპულარიზაცია. შესაბამისად, სააგენტო არის პასუხისმგებელი ორგანო ძეგლების მოვლის პროცესში. სააგენტოს ბალანსზე არსებულმა მუზეუმ-ნაკრძალების წარმომადგენლებმა უნდა განახორციელონ მონიტორინგი იმ რეგიონში არსებულ ძეგლებზე, რომლებშიც ეს ძეგლები არსებობენ. იკომოსმა შეისწავლა ორი მუზეუმ ნაკრძალის — უფლისციხისა (გორის მუნიციპალიტეტი) და ნოქალაქევის (სენაკის მუნიციპალიტეტი) წლიური ბიუჯეტი და საშტატო ერთეული. აღმოჩნდა, რომ ის საშტატო ერთეული და გამოყოფილი თანხები საკმარისი არ არის. სხვა სახარჯი სამეცნიერო ან დოკუმენტაციის შედგენისა არაფერი არ გააჩნია. 16 ადამიანი კიდევ არაუშავს ამ ერთი ძეგლისთვის — უფლისციხისთვის, მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ ფორმალურად მათ მონიტორინგი უნდა გაუწიონ შიდა ქართლის მხარეში 617 ძეგლს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ ვახორციელებთ კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას. ამიტომ ჩვენ კულტურის სამინისტროს ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ კულტურის ძეგლების სტატუსის კლასიფიკაცია სამი კატეგორიის მიხედვით მოხდეს: ეროვნული, რომელთა შორის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიც იქნება, რეგიონული და ადგილობრივი. ძეგლების დაცვაზე პასუხისმგებლობა გადანაწილდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის: ეროვნულ ძეგლებს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო დაიცავს, რეგიონულ ძეგლებს — სამხარეო ადმინისტრაცია, ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებს კი — მუნიციპალიტეტები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო „კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა და საზოგადოების შესახებ“ კონვენციის ხელმომწერია, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ ძეგლთა დაცვით დაინტერესებული არასპეციალისტების აზრიც უნდა გაითვალისწინონ. კულტურის ძეგლები არის რესურსის ჯგუფი, რომელსაც ხალხი მიიჩნევს ღირებულად და პროფესიონალებს არ გამოყოფს ცალკე. მსოფლიო ნელ-ნელა აღიარებს, რომ არსებობს საზოგადოება, რომელიც მემკვიდრეობით არის დაინტერესებული და მისი უფლებებიც უნდა იყოს დაცული. კიდევ ერთი კატგორია არის სათემო-ლოკალური მნიშვნელობის ძეგლების სტატუსი, რომელსაც შესაძლოა კანონი არ იცავდეს ისე, როგორც ეროვნული თუ ადგილობრივი სტატუსის მქონე ძეგლებს, თუმცა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და მოსახლეობა იცავდეს საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე. სათემო-ლოკალური ძეგლები ჩემი იდეაა და სამუშაო დოკუმენტში არ შევა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამაზეც ვიმსჯელოთ, რადგან ამგვარი კლასიფიკაციის ძეგლების პრაქტიკაში არსებობს, — განაცხადა ნატო ცინცაბაძემ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის აზრით:

— ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უნდა ჰქონდეთ გადაცემული კულტურის ძეგლთა მოვლისა და მონიტორინგის ფუნქცია, რადგან მათ ყველაზე კარგად მართავს ადგილობრივი. როგორ შეიძლება ჩვენ აქედან, ან სააგენტომ ჯეროვნად მართოს, მაგალითად, ბორჯომის ხეობის ძეგლი. ბორჯომი უკეთ მართავს მას, მაგრამ მუნიციპალიტეტს ინსტიტუციური მზაობა უნდა ჰქონდეს. მოგეხსენებათ, კულტურის სამინისტროს გადაცემა თბილისში არსებული კულტურის ძეგლების მონიტორინგის უფლება, თუმცა ეს არ ეწინააღმდეგება დეცენტრალიზაციის პოლიტიკას, რადგან დეცენტრალიზებულ ქვეყნებშიც კი უზენაესი უფლებამოსილება რჩება ცენტრალურ ხელისუფლებას და თვითმმართველობის ორგანოებს დელეგირებით გადაეცემა. თბილისის შემთხვევაში სამინისტროს ნებისმიერი უფლებამოსილება წაერთვა და გადაეცა თბილისის მერიას. ხოლო ამ კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ მერიას კულტურის სამინისტროსგან ექნება დელეგირებული უფლება-მოვალეობები. ჩვენ არ გვინდა მართვა მთლიანად შევინარჩუნოთ, მაგრამ უზენაესი უფლებამოსილება ჩვენ უნდა გვქონდეს.

კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით:

— ევროკავშირთან თანამშრომლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნისთვის. რეგიონებში მუშაობა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი კულტურის სამინისტროსი. მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვთანამშრომლობთ ევროკავშირთან.

ამ მნიშვნელოვან მოვლენამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა ერთობლივი მისია სომხეთის რესპუბლიკაში გაიმართა. შეხვედრას ქართული მხრიდან ესწრებოდნენ ბესიკ მაცაბერიძე, მერაბ ბოჭოიძე, გიორგი გაგოშიძე, პეტრე კანკავა, სომხეთის მხრიდან კი არევიკ სამუელიანი, აკოფ სიმონიანი და ჰოვანეს სანამიანი. ქართული მხარის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში მიზნად ისახავდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე არსებული წინასწარ შერჩეული, მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების — ქობაირი, ახტალა, ხნევანქი, აქორი, თეჟარუიქი — ნორაშენი, სურბ-ნიშანი, მოღნისი, სურბ-მინასი, შამქორელთა ღმრთისმშობელი — საკითხის განხილვას. შეხვედრის შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, ორი ქვეყნის სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობაზე. ქართველი და სომეხი ექსპერტები ერთობლივად შეიმუშავებენ თანამშრომლობის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას. სიძველეების გადარჩენის მიზნით სამუშაო ჯგუფის მთავარი ამოცანა იქნება ძეგლების აღდგენა მოხდეს ხარისხის და გონივრული ვადების დაცვით. სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა საპასუხო ვიზიტი საქართველოში უახლოეს მომავალში განხორციელდება.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დარდი, სევდა, ნაღველი; 2. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ზანგური ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 8. ბანკში გახსნილი ანგარიში; 12. გულის კედლის გარეთა ფენა; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 16. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 17. სილის გორაკი უდაბნოში; 19. რძის პროდუქტი; 20. გნოლის, ხოხობის, კაკბის ბარტყი.

**თარაზულად:** 5. მხარე გერმანიაში; 6. დიდი ძეგლი; 9. ქართული მინერალური წყალი; 10. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 11. ცხოველი, აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 13. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 15. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. სამეჯლისო ცეკვა; 21. ძველი მონეტების მკვლევარი, კოლექციონერი; 22. აეროპორტი სტოკჰოლმში; 23. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. კასანდრა; 8. ბარაკი; 9. ლარინგიტი; 11. ინდოლი; 12. სიმონა; 14. ლიმონი; 15. კანონადა; 20. რაპირა; 22. დავრიში; 23. სინი; 24. ანდამატი; 25. ლარი; 26. ტარიფი; 27. სიონი.

**შვეულად:** 1. მარკა; 2. პრერია; 4. ნელსონი; 5. არგონი; 6. კარამელი; 7. გირლანდა; 10. ამონი; 12. სამხარი; 13. ანკლავი; 16. კარმენ; 17. კრატერი; 18. მისანი; 19. პირატი; 21. პინია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კაპა; 2. სან; 3. სი; 4. მის; 5. პანტა; 6. ტანტრე; 7. მარაკანა; 8. აზუა; 9. კანტატა; 10. ტბა; 11. ოტია; 12. ძუა; 13. ფრაუ; 14. ასა; 15. კოალა; 16. აბიო; 17. ბუ; 18. ოკარინა; 19. არკანზასი; 20. უდე; 21. ისტორია; 22. ალ; 23. პარაბოლა; 24. ელიბო; 25. ჟანრი; 26. რაპირა; 27. აბორდაჟი; 28. ბარამბო; 29. ელადა; 30. არკებუზი; 31. სკარამუში; 32. ტუმბო; 33. იო.

**სურათებზე:** ტია კარერა; რობერტო აიალა.

# შავფაროსნები ნოქალაქევში ისტორიას გააცოცხლებენ

ეკა ირემაშვილი

17 ივლისს სენაკში ანტიკური ხანის უნიკალურ ციხე-ქალაქში „შავფაროსნები“ ჩავლენ. როგორც „შავფაროსნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მარი ონიზაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ პროექტის „გაცოცხლებული ისტორიის“ პრეზენტაციას გამართავენ.

– ეს პროექტი მიზნად ისახავს მუზეუმის ცნობადობი სამაღლებასა და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას მუზეუმ-ნაკრძალში, რომელიც იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესვლის კანდიდატია. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს და ადგილობრივ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, ქართული საბრძოლო ხელოვნების ოსტატების დახმარებით, გაეცნონ ძველი ქართული იარაღების მოხმარების წესებს, ასევე, ჩაერთონ ტრადიციულ ქართულ თამაშობებში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნოქალაქევის შესახებ ფილმის გადაღება და მუზეუმის ტერიტორიაზე საბრძოლო-საჩვენებელი წარმოდგენების გამართვა. ეს იქნება პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც ანტიკური ხანის მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს გაცოცხლებული ისტორია დახვდება. იმისათვის, რომ ღონისძიება არ იყოს ერთჯერადი ხასიათის და მუზეუმის სტუმრებს ნოქალაქევის ტერიტორიაზე ყოველთვის დახვდეთ განსხვავებული გარემო, პროექტის ფარგლებში გადამზადებული ადგილობრივი ახალგაზრდები მუზეუმის ვიზიტორებისთვის ყოველკვირეულად გამართავენ ქართული საბრძოლო ხელოვნების მასტერ-კლასებს, – ამბობს მარი ონიზაშვილი.

მისივე თქმით, ევროკავშირის მხარდაჭერითა და „შავფაროსნების“ ორგანიზებით გადაღებულ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმში მოთხრობილი იქნება ციხე-ქალაქის ისტორია, გაცოცხლებული ისტორიული სცენებით.




– ნოქალაქევი-არქეოპოლისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო საქართველოში, რომლის ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმში 3450 უნიკალური ექსპონატია დაცული. ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება უკრაინის ქალაქ ხერსონის ახალგაზრდული ინიციატივების ცენტრის „ტოტემი“ მიერ. საქართველოში პროექტის მხარდამჭერია ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“. პროექტი ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, – განმარტავს მარი ონიზაშვილი.

# როგორია ანარქისტული გამოფენა?

ეკა ირემაშვილი

**„პე კე კა“ – ასე ჰქვია გამოფენას, რომელსაც 16 ივლისს გალერეა „ნექტარი“ უმასპინძლებს. გალერეის წარმომადგენლის ლალი პეიტენავას თქმით**

– „პე კე კა“ – ცოტა ანარქისტული, ცოტაც მიამიტური გამოფენაა სიტყვების თამაშის კონტექსტით, რომელიც თითქოს არ ემორჩილება ბანალურ საგალერეო ფორმატს და ლოგიკას და ინტერპრეტაციისა და ფიქრის უფლებას გიტოვებთ. ექსპოზიცია საგალერეო სივრცესთან ერთად ქუჩასაც ითვისებს. გადმოიარეთ ძველი ნივთების ენერგეტიკით დატვირთული ჯადოსნური „მშრალი ხიდი“ და გალერეა „ნექტარს“ ესტუმრეთ.

*– რა სახის ნამუშევრებს გამოფენთ?*

– ამ ნამუშევრებს თავისი პრეისტორია აქვთ: გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ამ რამდენიმე ხნის წინ სპეციალურად შეიქმნა, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ და წარმოადგენდა თანამედროვე ქართველი ხელოვანების მიერ თბილისელი ეზიდი ქურთების ეთნო კულტურით ინსპირირებულ არტს. დღეს კი ნამუშევრებმა ადგილი და სივრცე შეიცვალეს და სულ სხვა კონტექსტში, სხვა დატვირთვით შეგვახსენეს თავი. ახლადგახსნილი გალერეა „ნექტარისთვის“ ეს რიგით მეორე გამოფენაა. გალერეა თავისი ლოკალიზაციით – ძველი თბილისის უბანი, ვორონცოვი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, იქვე ჯადოსნური „მშრალი ხიდი“ და ა.შ. – გამოფენის ავტორებისთვის კვლავ ახალ ინსპირაციას იძლევა.

*– არს გულისხმობთ?*

– „ნექტარის“ საგამოფენო სივრცეში დიზაინერი გელა კუპრაშვილის პერფორმანსი შედგება. დიზაინერი სტუმრებს სურვილის შემთხვევაში იქვე მოუხატავს ტანსაცმელს. საგალერეო სივრცესა და იქვე პატარა ქუჩაზე გამოიფინება ტატო კოტეტიშვილის ფოტო-ნამუშევრები და გელა კუპრაშვილის ინსტალაციები. „ნექტარის“ პერფორმანსების სარდაფში კი დიმა დადიანის ელექტრონული მუსიკა ცოცხლად აჟღერდება. გიორგი სუმბაძე კი სტუმრებს პროექციებს დაახვედრებს.

ჩვენი გალერეა 7 ივნისს გაიხსნა და ერთთვიანი გამოფენა მოაწყო, რომელიც აერთიანებდა ექვს კურატორსა და ათ არტისტს: სალომე ერაძეს, ანა ლორთქიფანიძეს, მაქსიმე მაჩაიძეს, ნიკო ნიკს, ლადო ონიანს, მაია სუმბაძეს, ნინო ჩუბინაშვილს, ლევან ჭელიძეს, გიორგი ხანიაშვილს, მაიკლ ჰიუის. ნინო სეხნიაშვილმა თავისი ახალი გალერეის „ნექტარის“ საინაუგურაციო გამოფენა ასე დაგეგმა. მან ექვს კურატორსა და ხელოვანს მათთვის ამჟამად საინტერესო არტისტების შერჩევა სთხოვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი ჯგუფი: სხვადასხვა მედიაში შესრულებული თერთმეტი ხელოვანის ნამუშევარი-ინსტალაცია, ფოტო, ფერწერა და ქანდაკება. ანა ლორთქიფანიძის ფოტო აარჩია გურამ წიბახაშვილმა. ეს ახალგაზრდა ფოტოგრაფი სინდი შერმანის ტრადიციის მიხედვით საკუთარ თავს უღებს ფოტოს და სხვა ფილმის გმირების ფიზიკურ თუ სულიერ პროვოცირებას ახდენს საკუთარ სხეულზე, შესაბამისად, მის ფოტო სერიას „იდენტიფიკაცია“ ჰქვია. ვატო წერეთელმა ნინო ჩუბინაშვილის სამგანზომილებიანი ტყავის სკულპტურის მაკეტი წარმოადგინა. ჩუბინაშვილის სკულპტურა არის ექსპერიმენტული ნამუშევარი. კარადა-ქანდაკებაში არატრადიციული მასალებით ხდება ავტორის იდეების და სამყაროს გამოხატვა. ხათუნა ხაბულიანმა მაია სუმბაძის კომპიუტერითა და ხელით დახატული დრიმვორლდ ნახატები გამოფინა. მაია სუმბაძემ ისეთი თავისებური ვიზუალური ენა შექმნა, რომ იგი დღევანდელ არტისტულ წრეებში ერთგვარად უორჰოლისნაირი ცნობადობით სარგებლობს. მისი სარეკლამო ხელოვნება თუ საგამოფენო ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის ადვილად საცნობია. გარდა ამისა, მაია სუმბაძე ხშირად ერთდროულად იყენებს ციფრულად ნაბეჭდ და ხელით შესრულებულ ტექნიკას, რაც მის სარეკლამო ნამუშევრებსაც კი გარკვეულ უნიკალურობას ანიჭებს, ისინი მხოლოდ პრინტები არ არის. ანი ჩორგოლაშვილის არჩევანი ახალგაზრდა მხატვარი ნიკ ო ნიკია. ქაღალდზე შესრულებული მისი ნამუშევრები ეროტიკული ვებგვერდების ფოტოებითაა ინსპირირებული. ლიკა ჭკუასელმა მაქსიმე მაჩაიძის ლექსები-ნახატების ინსტალაცია შეარჩია გამოფენისთვის. მაჩაიძე გარდა ქართული ანბანისა, ხშირად ლათინური ასოებით წერს ქართულ ტექსტს, ხან კი მისი პოეზია ინგლისურადაა დაწერილი. ლექსის ტექსტი კომპოზიციის ნაწილია, ისევე როგორც ქაღალდის ნაკეცები და ამავე ქაღალდზე ნაბეჭდი რიდმეიდ ნახატები. ირინა პოპიაშვილმა გამოფენისთვის შეარჩია გიორგი ხანიაშვილისა და ლადო ონიანის სკულპტურები, ლევან ჭელიძის და სალომე ერაძის ფერწერები, მაიკლ ჰიუის ფოტო. გიორგი ხანიაშვილის „ვენერას“ ქანდაკება ხისგანაა გამოთლილი – მას ბერძნული ქანდაკების სახე, ორთოპედიული კაბინეტის მანეკენის ხერხემალი და ჰანს ბელმერისეული მანეკენის ფეხები აქვს. ეს კომბინაცია ერთდროულად აღტაცებასა და ღიმილს იწვევს მნახველში. ლადო ონიანის რკინისა, ცემენტის და გუდრონისგან შესრულებული ობიექტები თავიანთი ფაქტურით და მასალის სპეციფიკურობით გამოირჩევიან. სალომე ერაძის და ლევან ჭელიძის სახით ახალი საინტერესო ფერმწერები გამოჩნდნენ ამ გამოფენაში. გამოფენის გახსნაზე და გალერეის პრეზენტაციაზე რეზო კიკნაძის ჯაზ ბენდმა დაუკრა. პირველი ექსპოზიცია 7 ივლისს დაიხურა, ამჯერად კი რიგით მეორე გამოფენაზე გეპატიჟებით, რომელიც თანამედროვე ხელოვნებაში გამოგზაურებთ.

# სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციაზე მუშაობა უცხოელ ექსპერტებთან ერთად გრძელდება

გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე: „სასჯელთა სახეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის ფარგლებში“.

კონფერენცია იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალ. ბარამიძემ და ევროკავშირის პროექტის – „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ – წარმომადგენელმა რ. ვინტერმა გახსნეს. საერთაშორისო ორგანიზაციების – ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის, ნორვეგიის, კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ექსპერტებმა ქართველ კოლეგებთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციაზე იმსჯელეს, განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სასჯელის მიზნების დახვეწა და სასჯელთა იერარქიის განსაზღვრა მათი სიმძიმის მიხედვით; მოსამართლის როლის გაზრდა სასჯელის შეფარდებისას; დამატებითი სასჯელების გამოყენების წესების განსაზღვრა; ჯარიმის რეგულირების გადასინჯვა, რათა კანონით დადგინდეს მისი ოდენობის განსაზღვრის წესი, ჯარიმის გამოყენების აკრძალვა, თუ ის არ არის დამატებით სასჯელად კერძო ნაწილის მუხლში გათვალისწინებული; სასჯელის ალტერნატიული ფორმების გადახედვა, კერძოდ, გამასწორებელი სამუშაოს, როგორც სასჯელის სახის გაუქმება, და მისი გარდაქმნა დროში გაწერილ ჯარიმად, რომელსაც მსჯავრდებული გადაიხდის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ იურისტებს ამ და სხვა საკითხებთან მიმართებაში ევროპული მიდგომები გააცნეს, კონფერენციაზე ისაუბრეს სასჯელის შესაბამისობაზე ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან სისხლის სამართალში, სასჯელის გადავადებისა და დანაშაულის გაქარწყლების პროცედურებზე.

**მედიანიუსი**

# ბექა გოჩიაშვილმა რედისონის ტერასაზე დაუკრა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რებიც ლენი უაითსი და სტენლი კლარკია. ბევრი მუსიკალური თუ არამუსიკალური ინფორმაცია მივიღე მათგან. საბოლოოდ, ვფიქრობ, დისკი საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდა, – განაცხადა მუსიკოსმა.

ბექა გოჩიაშვილის დისკის დიდი ნაწილი შარშანდელ ბათუმის ჯაზ-ფესტივალზე გაიყიდა. შემოდგომაზე მისი გაყიდვა ამერიკასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიგეგმა. გადაწყდა, რომ ევროპის ბაზარს, ახალგაზრდა მუსიკოსის ალბომით „იუნივერსალ მიუზიც გროუპი“ მოამარაგებს.

– ერთ-ერთი ნიმუში მუსიკოსის შეფასების არის, როდესაც მის ნამუშევარს უსმენ, უნდა იგრძნობოდეს მუსიკოსის პროფესიული ზრდა. ეს კი ნამდვილად იგრძნობა ბექას შემთხვევაში. ის მუსიკას ქმნის როგორც თავისთვის, ისე სხვისთვის. 16 წლის ასაკში ბექა უკვე ჩამოყალიბებული, პროფესიონალი მუსიკოსი იყო. ეს კომპოზიციები კი რომელიც ერთ დისკშია თავმოყრილი, ნამდვილად გასაოცარია, – აღნიშნა ლენი უაითსმა.

ბექა გოჩიაშვილის კარიერულ წარმატებებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან საქართველოში, თუმცა მასთან დაკავშირებით უსიამოვნო ფაქტსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც ის და მისი მეგობრები ბინის ქურდობაში დაადანაშაულეს, დაკითხვაზეც დაიბარეს და როგორც მუსიკოსმა აღნიშნა, შეურაცხყოფაც მიაყენეს. ამჯერად მუსიკოსი კვლავაც აგრძელებს სწავლას და მომავალში არაერთი წარმატებული თუ გახმაურებული პროექტის განხორციელებას აპირებს.

# სამგლოვიარო განცხადებები



## გიორგი (გია) პაპავას გახსენება

ხუთი წლის უნახავო, შვილო, 16 ივლისს გისრულდება შენთვის და ჩემთვის უბედური დღე, შენ შემოგევლოს შენი გაუბედურებული მოხუცი დედა. მტკივნეულია ის სიცოცხლე, რასაც შენ გარეშე ცხოვრება ჰქვია. რატომ წამართვა უფალმა შენი თავი, რატომ მხვდა წილად ასეთი სიმძიმის ზიდვა სიბერეში. ძალიან მენატრები, შვილო, შენთან მინდა, შვილო, ნუთუ არ გენატრება შენი შვილები – ელენე, თეკლა და შენი მეუღლე ეკა, რომელიც ყველაზე ძვირფასი იყო შენთვის. ენატრები შენს დას, თამილას, დისშვილებს, პაატას, ვათას – ყველა შენს ახლობელს. ვიცი, შვილო, არასდროს დამიბრუნდები, გთხოვ, გადამარჩინე შენგან გამოწვეულ დიდ სიმწარეს, წამიყვანე შენთან და დამასვენე.

**შენი უბედური დედა**

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის სიამაყე

**დიეგო (კუკური) გრიგოლის ძე სხირტლაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

ნოდარი და ოლია სხირტლაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**დიეგო( კუკური) გრიგოლის ძე სხირტლაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გელა ყიფიანი, ამირან ბუქსიანიძე და ტარიელ კვიციანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გიორგი ონიანს მამის

**გიგლა ონიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 16 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ **"ჟორიკანა"** 17.00 "ჩვენი ეზო" 18.00 დ/ფ "ადამიანი პლანეტა" 19.05 ტ/სერ **"მაგდა ემი"** 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 ტ/სერ **"ნიკატა"** 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 მხ/ფ **"ყოველთვის თქვით – დიახ"** (ჯ.კერი) 01.20 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნაწ. 14.00 დ/სერ. "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 2 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: "თამარ გვერდწითელი" 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 მხ/ფ. **"ქორწილის ორგანიზატორი"** (მ.მაკკონეჰი) 00.15 მხ/ფ. **"სისხლიანი განაჩენი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ქალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 გააცინე და მოიგე. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ირაო - გერგეტის მყინვარი 06.50 სპექტაკლი - **"ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.00 მოკ/ფ **"სიყვარულის ცეცხლი"** 16.50 კონცერტი - დები გოგოჭურები 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 ისტორიის გაკვეთილი 22.20 გერგეტობა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გიხაროდენ ქალწულო და დედაო 23.40 კვირიაკეს სიუჟეტი "გერგეტის სამება" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ერთსულოვნების სალონი 03.10 სიახლენი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმები 8.20, 9.15 მაგთიფანი (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30 ფარული კამერა 12.30, 22.20, 3.30 თოქ – შოუ - "პოლიტმეტრი" 14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "1001 ღამე"**

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 **სერიალი "ტკბილი შხამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ანატომია 16.10 სპორტის დრო 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 2.20 რაგბი 0.20 მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 ივლისი

აშშ დოლარი — 1,6560

ევრო — 2,1611

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5027

100 რუსული რუბლი — 5,0731

## ამინდის პროგნოზი 16 ივლისისთვის




# საქართველოს ნაკრები ევროპისკენ მიიწევს

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპიც ბრწყინვალე სტილში მოიგო: მალტაში ხელიხელ 4 მეტოქე დაამარცხა და ქულათა მაქსიმუმით (12) პირველი ადგილი დაიკავა!**

ვლადიმერ ისელიძის და იოვან პოპოვიჩის გაწვრთნილმა გუნდმა პირველ შეხვედრაში ისრაელს 13:8 სძლია, შემდეგ უკრაინა დაამარცხა – 15:8, მესამე ტურში ბელარუსი 24:7 გაანადგურა, დასკვნით მატჩში კი თამაშების მასპინძელ მალტას 16:12 მოუგო.

მალტაში, ევრო 2014-ის მეორე შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შემდეგმა წყალბურთელებმა ითამაშეს: ზურაბ ჭუმბურიძემ, მარკო ელაჩმა, დამირ ცრეპულიამ, მარკო ელეზიმ, გალაქტიონ ლაითაძემ, ბექა ქავთარაძემ, გიორგი ხვედელიანმა, მიხეილ ბაღათურიამ, ზურაბ რურუამ, კონსტანტინე გეგელაშვილმა, ტატო ნიკოლეიშვილმა, მარინო ფრანიჩევიჩიმ და ბექა კაპანაძემ.

მესამე შესარჩევი ეტაპი 11-14 ნოემბერსაა დაგეგმილი და იქ წარმატების შემთხვევაში, ჩვენს გუნდს ფლეი-ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. 2 ჯგუფური ეტაპის შემდეგ ქართველ წყალბურთელები 17-გუნდა ჯამურ ცხრილში მოწინავეთა შორის არიან და შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის შანსს ინარჩუნებენ.

ფლეი-ოფში ამ 17 გუნდიდან 6 გადის. 3 შესარჩევი ეტაპის ჯამში 1-3 ადგილზე გასული გუნდები ფლეი-ოფში ევრო 2012-ის მე-10-12 ადგილოსნებს – ჰოლანდია, მაკედონია, თურქეთი – გაეჯიბრებიან, ფლეი-ოფის მე-4-6 ადგილოსნები კი ევრო 2012-ზე მე-7-9 ადგილზე გასულ გუნდებს – ესპანეთს, რუმინეთს და ხორვატიას. ფინალური ეტაპის საგზურის მფლობელები შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების მიხედვით გამოვლინდებიან.

ევროპის ჩემპიონატი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ზუსტად ერთ წელიწადში, 13-26 ივლისს გაიმართება. ტურნირის მასპინძელთა გარდა კონტინენტის პირველობის საგზური დაბევებული აქვთ სერბეთს, მონტენეგროს, იტალიას, გერმანიას და საბერძნეთს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ფაჩულიას ერთგულებას ამერიკაში აფასებენ

ამერიკულ მედიაში ზაზა ფაჩულიაზე პატარა სტატია გამოქვეყნდა. საინტერესო ის არის, რომ ეს სტატია არა ატლანტაში, სადაც ზაზა თამაშობდა, და არც მილუოკიში, სადაც ზაზა გადავიდა, არ დაწერილა. ფაჩულია ორლანდოში იმყოფებოდა, სადაც ჩვენებურს არანაკლებ იცნობენ. როგორც ირკვევა, ზაზას იქაურები ღიმილით ხვდებოდნენ და „მილუოკიში" გადასვლას ულოცავდნენ.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ზაზას ერთგულებაზე. ავტორი აღნიშნავს მის 9-წლიან პერიოდს „ატლანტაში" და დასძენს, რომ დაბრუნდა იქ, სადაც მანამდე თამაშობდაო.

– თითქოს შინ ვბრუნდები. მართალია, „მილუოკიში" მხოლოდ ერთი წელი ვითამაშე, მაგრამ დარბაზშიც კომფორტულად ვგრძნობდი თავს და ხალხთანაც კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. დარწმუნებული ვარ, ასეთივე კარგი სიტუაცია დამხვდება მომავალ სეზონში, – აღნიშნავს ფაჩულია.

რა უნდოდა ორლანდოში? თორნიკე შენგელიას მატჩის საყურებლად ჩავიდა, რომელზეც საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

– იგი დიდ კალათბურთს ითამაშებს, თუმცა ბევრი რამ აქვს გამოსასწორებელი. ვფიქრობ, მომავალ სეზონში „ბრუკლინის" სათანადოდ დახმარებაც შეუძლია, – ასეთია ზაზას პროგნოზი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა




# პაატა ბურჭულაძეს პრეზიდენტობა არ უნდა

ეკა ირემაშვილი

**მსოფლიოში ცნობილ ქართველ საოპერო ბანს პაატა ბურჭულაძეს პრეზიდენტობა არ უნდა. ამის შესახებ მის მიერ სპეციალურად გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.**

„ახალი თაობა" პაატა ბურჭულაძის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

„ბოლო დღეებში, ჩვენს ოფისში არ წყდება ზარები, გვიკავშირდებიან ჩვენი თანამემამულეები და მედიის წარმომადგენლები. გადავწყვიტე, გამოვეხმაურო ჩვენს ერთგულ ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ინტერესს.

მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ წლების მანძილზე ვიღებდი შემოთავაზებებს, ჩემი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი უარს და ჩემი ეს პოზიცია არც არასოდეს მინანია.

ბოლო დროს, ეს შემოთავაზებები ძალიან გააქტიურდა, მასში ჩაერთო ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ასევე მომმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა.



გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ამ პერიოდში პირადად გვიკავშირდებოდა თუ წერილებს გვწერდა, ულრმესი მადლობა გამოხატული ნდობისა და პატივისცემისათვის, მათ შორის ბატონ ჯონდი ბაღათურიასა და კახა კუკავას, რომლებმაც გაახმოვანეს საზოგადოების ეს მოსაზრება.

ვფიქრობ, რომ დღეს ჩემი პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობა არ დგას და იმ საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც ვეწევი ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. მე ყოველთვის ვიდექი და ვიდგები ჩემი ერის სამსახურში და თუ ჩვენ ოდესმე ყველანი ერთად მივიჩნევთ, რომ ჩვენს ქვეყანას სხვა სფეროში მეტად სჭირდება ჩემი ყოფნა და გამოცდილება, გპირდებით, რომ მზად ვიქნები ეს ნაბიჯი გადავდგა".

პაატა ბურჭულაძე უკვე წლებია ქველმოქმედებაშია ჩართული და ქართულ საზოგადოებაში უდიდესი ნდობით სარგებლობს. მან 9 წლის წინ დააარსა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი" იავნანა", რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნავს და ბავშვთა სახლებში მიბარებული პატარების ოჯახში დაბრუნებას ცდილობს. მის ამ წამოწყებას ქართული საზოგადოების რჩეულმა ნაწილმაც დაუჭირა მხარი, მათ შორის მსახიობებმა, რეჟისორებმა, მომღერლებმა, მხატვრებმა და სხვადასხვა დარგში მომუშავე ხელოვანებმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საოპერო მომღერალს კიდევ უფრო დიდი მისია დააკისრა – დააარსმა ფონდი „ივერიისა", რომელიც მახათას მთაზე ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას გულისხმობს. პაატა ბურჭულაძე აქტიურად არის ჩართული ამ ტაძრის მშენებლობაში, ის მთელ საქართველოში მოგზაურობს და აცნობს ქართველ საზოგადოებას, თუ როგორ უნდა ჩაერთონ საშვილიშვილოდ სასიკეთო საქმეში.

გასულ კვირას პაატა ბურჭულაძემ სცენაზე მოღვაწეობის 35 წლის იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზში იზეიმა, სადაც უამრავი მილოცვა მიიღო. საოპერო მომღერლის საიუბილეო კონცერტზე სანკტ-პეტერბურგის სიმფონიურმა ორკესტრმა დაუკრა, რომელსაც მაესტრო იური ტემირკანოვი ხელმძღვანელობდა. პაატა ბურჭულაძემ კონცერტზე რამდენიმე საოპერო არია შეასრულა. სანკტ-პეტერბურგის სიმფონიურმა ორკესტრმა კი ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია და ნაწყვეტები ცნობილი ნაწარმოებებიდან დაუკრა.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### ასტროპროგნოზი 16 ივლისისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, საქმე ისედაც გაკეთდება. **კირჩხიბი** – გადაამოწმეთ ინფორმაცია, არ მოტყუვდეთ. **ლომი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გაქვთ. **ქალწული** – საქმე წარმატებით დასრულდება, ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ღრიანკალი** – ახალი წამოწყება გაამართლებს. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გექნებათ. **თხის რქა** – დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. აეროპორტი მონტევიდეოში; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. შავი ზღვის ზვიგენი; 6. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 11. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 13. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; 14. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 15. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 17. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 18. კაზინოს თანამშრომელი; 19. რევაზ ლაღიძის ოპერა.

**თარაზულად:** 7. გურულების, აჭარლების, მესხების ძველებური ტანსაცმელი; 8. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9; მცველი, გუშაგი; 10. ვაზის ხეივანი; 12. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ფილატელისტის ალბომი; 18. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკებისა და შედეგების შესახებ; 20. პატარა მწერი, ქინქლა; 21. სახოტბო ლექსი; 22. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 23. ბრიტანული არაყი; 24. ქალაქი საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



# ბექა გოჩიაშვილმა რედისონის ტერასაზე დაუკრა

ეკა ირემაშვილი

ჯაზის ახალგაზრდა ვირტუოზმა ბექა გოჩიაშვილმა რედისონის ტერასაზე საგანგებო კონცერტი გამართა. ჯაზური საღამო კომპანია „სილქნეტის" ხელშეწყობით მოეწყო. საღამოზე აჟღერდა მუსიკოსის მიერ შექმნილი ორიგინალური მელოდიები და იმპროვიზაციები.




რედისონის ტერასაზე შეკრებილი მსმენელისთვის შედგა იმ მელოდიების პრეზენტაციაც, რომელიც მუსიკოსმა „სილქნეტის" ცხელი ხაზისთვის, სპეციალურად „სილქნეტის" აბონენტებისთვის დაწერა.

– ბექა ნიუ-იორკში, ჯულიარდის აკადემიაში სწავლობს. მას მუსიკალური ნიჭი ორი წლის ასაკში აღმოაჩნდა, უკვე 4 წლისა ფორტეპიანოზე გარკვეულ კომპოზიციებს უკრავდა. 2002 წელს ჩააბარა მუსიკალურ სკოლაში თენგიზ ჩიტაიშვილის კლასში. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. ბექას ნიჭიერებამ მოიტანა ის, რომ მას მოპოვებული აქვს არაერთი დიპლომი. სულ ახლახანს ნიუ-იორკის ცნობილ ჯაზ-კლუბში ბექა გოჩიაშვილის კონცერტი გაიმართა ბენდთან ერთად. ქართველმა მუსიკოსმა ცნობილ კომპოზიციებთან ერთად საკუთარი ნაწარმოებიც შეასრულა და ამერიკელები აღაფრთოვანა. მან განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა ლეგენდარული ჩიკ კორიას მხრიდან, – აცხადებენ კომპანიაში.

ჯაზის სამყაროში ახალგაზრდა მუსიკოსის წინსვლას სწორედ კომპანია „სილქნეტი" უწყობს ხელს.

– „სილქნეტი" არის ჩემი მომავალი დისკის სპონსორი, რომელშიც არის ჩემი და დიჯეი ლოჯიქის ანუ ჯეისინ ტიბერის პროექტი. მუსიკა წარმოადგენს ჯაზისა და ჰიპჰოპის სინთეზსს, ეს იქნება ჩემი თემებიც, ჯაზ სტანდარტების არანჟირებები და რა თქმა უნდა, ჯეისინ ტიბერის თემებიც, – ამბობს ბექა გოჩიაშვილი.

დისკი, რომელზეც ბექა გოჩიაშვილი მუშაობს, უკვე შერჩეულია გრემიზე წარსადგენ ალბომებს შორის. ეს მუსიკოსისთვის პირველი ალბომი არ არის. პირველი ალბომი უკვე გამოსცა. გასული წლის ზაფხულში ამერიკელმა ჯაზის ვარსკვლავმა, დრამერმა ლენი უაითმა საქართველოში ვიზიტი ბათუმის შემდეგ, თბილისში „ბრავო რექორდსის" სტუდიაში გააგრძელა. ბექა გოჩიაშვილის ახალი ალბომისთვის „ბრავო რექორდსში" ჯანსულ კახიძის „ჰერიო ბიჭებოს" ინგლისური ვერსია ნატალია ქუთათელაძემ ჩაწერა. ლენი უაითმა პირველად ნიუ იორკში მოისმინა „ჰერიო ბიჭებო" ბექას ინტერპრეტაციით და ნატალიას შესრულებით. მაშინვე გადაწყდა რომ ეს სიმღერა ბექა გოჩიაშვილის ალბომში უნდა შესულიყო. ინგლისური ტექსტი თავად ლენი უაიტს ეკუთვნის. „ჰერიო ბიჭებოს" ჩანაწერი ამერიკაში წაიღეს, ბექა გოჩიაშვილის ვარსკვლავური ალბომის პრემიერა კი შემოდგომაზე დაიგეგმა.

ბექამ თავისი პირველი დისკის „ბექა გოჩიაშვილი" პრეზენტაცია შარშან გამართა. ალბომი გასული წლის მაისის თვეში ნიუ-იორკში ჩაიწერა. მასში სულ 12 კომპოზიციაა შესული, მათგან 7-ის ავტორი თავად ბექა გოჩიაშვილია.

– დისკში შესულია სტენლი კლარკის, ლენი უაითისა და ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის კომპოზიციები. ჯანსულ კახიძის სიმღერას „ჰერიო ბიჭებო" და გია ყანჩელის „როცა აყვავდა ნუში" მომღერალი ნატალია ქუთათელაძე ასრულებს. ძალიან დიდი სიამოვნება, ბედნიერება და გამოცდილება იყო ჩემთვის ისეთ ცნობილ ვარსკვლავებთან თანამშრომლობა როგო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე